ლანჩხუთში ხუთი საბავშვო ბაღის მშენებლობა დასკვნით ეტაპზეა

ლანჩხუთის მუნიციპალი-ტ-უტში ნიგვზიანის, ნინოშვილის, გულიანისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერ-თეულებში საბავშვო ბაღების სამშენებლო სამუშაოებს გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე, მოადგილესთან ზაზა შოშიტაიშვილთან და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან ალექსანდრე სარიშვილთან ერთად გაეცნო.

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დავათვალიერეთ საბავშვო ბაღების სამშენებლო სამუშაოები.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, მუნიციპალიტეტში ხუთი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს.

პროექტები უკვე დასრულების ეტაპზეა და მათი ჯამური ღირებულება 7 მილიონ ლარს აღემატება“,- აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 11-12 (10477) 18 ივლისი 2024 წ. ფასი 1 ლარი.

„შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში"

„ჩვენი ამოცანაა ოზურგეთი ასოცირდებოდეს დაზგურ გრაფიკასთან“

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრთან არსებულ სტუდია სახელოსნოში **GURIAN ART** მიმდინარეობს პროექტი **„შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში-2024"**. სტუდია სახელოსნო უკვე მერვედ მასპინძლობს პროფესიონალ მხატვართა ჯგუფებს. ტრადიციულად სთავაზობს საინტერესო, თავისუფალ შემოქმედებით სივრცეს დაზგური გრაფიკის (ოფორტი, მონოტიპია) მასტერ კლასებისა და ნოვატორული იდეების განხორციელებისათვის. მიმდინარე წელს პროექტი ოთხ ეტაპად ჩატარდა. დასასრულს, ოთხივე ეტაპის მონაწილეების მიერ შექმნილი ნამუშევრების გამოფენა გაიმართება. ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე პროექტის ავტორებს და მონაწილეებს ვესაუბრეთ.

ავთანდილ თავართქილაძე (პროექტის ხელმძღვანელი): – *ამ დარგს დაზგური გრაფიკა ეწოდება, რომელიც მოიცავს სხვა და სხვა მიმართულებებს, მაგალითად, მონოტიპიას, მშრალი სტრიხით მუშაობას და ა.შ. მოწვეული გვყავს მხატვრები, რომელთაგან ზოგი ახლა სწავლობს, ზოგიც პროფესიონალია. გაიცემა სერთიფიკატებიც. წელს ოთხ ეტაპად ვიმუშავეთ. პირველი ეტაპი იყო ივნისის თვეში. მონაწილეობდნენ: ხათუნა სახელაშვილი (რუსთავი), ირინკა ხარატიშვილი (თბილისი) თამაზ, საბა დარჩიები (ოზურგეთი);*

მეორე ეტაპიც ასევე ივნისში გაიმართა. მონაწილეობდ-

გვ–12

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახური გამოძახებაზე არ რეაგირებს

ალიონი. წლებია, გაზეთი „ალიონი“ წერს გურიის მდინარეებში, ქვიშა-ხრეშის უსისტემოდ მოპოვების შესახებ, თუმცა შესაბამისი სამსახურებიდან რეაგირება არ არის.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მდინარე ნატანების აუზში, 20-კილომეტრიან ზოლში, სადაც ბოლო წლებში ჯერ თურქული კომპანია „პოლატი“ მუშაობდა,და წელს იგი გზებისა და ხიდების კომპანიის საქართველოს ფილიალმა ჩაანაცვლა. მოსახლეობის ნაწილი ქვიშა-ხრეშის უსისტემოდ ამოღებას აპროტესტებს, ნაწილი კი დუმს.

2022-2023 წლებში თურქულმა კომპანია „პოლატმა“ ლიცენზიის გარეშე (პრემიერის ნებართვით) მდინარე ნატანების აუზში სოფელ ციხისფერდიდან დაწყებული ვიდრე ქ. ოზურგეთში შემოსვლამდე 3 მილიონი კუბური მეტრზე მეტი ქვიშა-ღორღი ამოიღო. მათი არასწორი მოპოვების შედეგად 1,8 ჰექტარი მიწის საკარმიდამო ფართობი დააკარგვინეს გურიანთელ ფერმერს აკაკი ღლონტს, რომელსაც იქ პავლონიის ხეები ჰქონდა გაშენებული. დაზარალებული ბუნებრივია, კომპანიას უჩივის...

საამიოდე თვის წინ გაზეთმა „ალიონმა“ გარემოსდაცვით ორგანიზაცია „ეკოსთან“ - ერთად მოსახლეობის პროტესტის საფუძველზე მოინახულა სოფელ ციხისფერდში, მდინარე ნატანების აუზში არსებული მდგომარეობა და გარემოს დაცვის სამსახური გამოიძახეს. შედგა შესაბამისი ოქმი და მოსახლეობის წარმომადგენლებთან შეთანხმებით მოითხოვეს აქ არსებული ქვის სატეხი და ქვა-ღორღის მომპოვებელი კარიერის კანონიერება და ნებართვები. ასევე გამოთხოვილი იქნა ის ნებართვები, რომელიც გაიცა ადგილობრივი თვითმმართველობისა და წიაღის ერთიანი სააგენტოს მიერ – თუმცა მათი მიღება არ მოხერხდა.

14 ივლისს გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკომ“ მდინარე ნატანების აუზში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე გარემოსდაცვითი ბრიგადა გამოიძახა, თუმცა გარემოსდამცველები ადგილზე არ მივიდნენ.

ჩინური კომპანია ამჟამად არა მარტო ქვიშა-ღორღს იღებს, არამედ მიმდენარე კლდეებსაც და სასაოფლო-სამეურნეო სავარგულებსაც ანადგურებენ.

–სამი წელია სხვადასხვა კომპანიები მთავრობის განკარგულებით ვანდალურად იტაცებენ ქვიშა-ღორღს მდინარე ნატანების ერთი და იმავე ლოკაციაზე. ამ უკონტროლო განუკითხაობას სავალალო შედეგი მოჰყვება. კალაპოტშეცვლილი, დაბინძურებული, დაპატარავებული მდინარე, მტვრის ბუღი, შეცვლილი ლანდშაფტი – ასეთი სიტუაციაა მდინარე ნატანებზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველა საჯარო ინსტანცია ჩაკეტილია, ***მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო*** *მას ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ გვაწვდის საჯარო ინფორმაციას იმაზე, თუ რომელ კომპანიაზეა გაცემული ლიცენზიები მდინარეებიდან – სუფსა და ნატანები – ქვიშა-ხრეშის ამოღებაზე.*

ადგილზე გამოვიძახეთ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, რომლებსაც 50 წუთი ველოდებოდით, თუმცა არ მოვიდნენ.

ერთი გაკეთდეს მეორეს იავარქმნის ხარჯზე – ეს ქართული ხელწერაა. ასე საკუთარ საცხოვრისს არავინ მოექცევა, მხოლოდ მოგებაზე დახარბებულების გარდა – განაცხადა „ეკომ“ ჟურნალისტებთან.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 200-200 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ვიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ არჩევნებში

საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი პროექტის „ელექტრონული არჩევნების საყოველთაო დემონსტრირების" ფარგლებში, ოზურგეთის 1 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში, ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მოწყობილ საარჩევნო უბანზე, გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეებმა **ქეთევან მოისწრაფეშვილმა** და **ზაზა შოშიტაიშვილმა,** ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ არჩევნებში.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საარჩევნო მოხელეების მეთვალყურეობით, 6 - 28 ივლისის პერიოდში, ყოველ შაბათ - კვირას, 11:00 საათიდან - 18:00 საათამდე დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების მუშაობას, გაიარონ ხმის მიცემის პროცედურები. მსურველებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ შემდეგ ბმულზე: **https://calendly.com/d/ck3d-mpp-4v6.**

ნოდარ დუმბაძის დაბადებიდან 96 წელი გავიდა

გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს მწერლის ხსოვნას და ნოდარ დუმბაძის ბიუსტი ყვავილებით შეამკეს.

ხიდისთავის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ზენობანში, ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში, მწერლის ყველასათვის საყვარელი გმირები გააცოცხლეს კულტურის ცენტრთან არსებულმა სახალხო თეატრის მსახიობებმა.

ასევე, ორგანიზაცია „მომავლის პალიტრისა“ და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით „არ დავივიწყოთ ქართული“ ღონისძიებათა ციკლის ფარგლებში აჭარის ნორჩმა მსახიობებმა მწერლის ნაწარმოებებიდან ნაწყვეტები (ნოდარ დუმბაძე-„ასე დაუსრულებლად“) წარმოადგინეს.

ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა ანსამბლმა „ამაღლებამ“.

გურიანთა-ციხისფერდის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა დასრულდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, გურიანთა-ციხისფერდის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა დასრულდა. პროექტი, რომლის ღირებულებაც 649 450 ლარს შეადგენს, „სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში“ განხორციელდა.

განახლებული ხიდი ოზურგეთის მერმა **ავთანდილ თალაკვაძემ,** მოადგილესთან, **ნიკა ბოლქვაძესთან** და საკრებულოს წევრებთან ერთად დაათვალ-იერა.

–„განვაგრძობთ 8 სექტემბრის სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენას და განახლებას ოზურგეთში. როგორც დავპირდით საზოგადოებას, გურიანთა-ციხისფერდის დამაკავშირებელი ახალი ხიდის მშე-ნებლობა დასრულდა. სამუშაოები საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით განხორციელდა,“– აღნიშნა ოზურგეთის მერმა.

ჩვენს მკითხველებს!

2024 წლის 15 მაისს, ივანე ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში გულის გადაუდებელი რთული ოპერაცია (განმეორებით) გაიკეთა გაზეთ „ალიონის“ რედაქტორმა ნუგზარ ასათიანმა. ამის შემდეგ მას დაენიშნა რეაბილიტაციის კურსი, რომელიც გაცილებით მეტ დროს ითხოვს, ვიდრე ექიმები ვარაუდობდნენ.

ამან განაპირობა, რომ გაზეთი „ალიონი“ უკვე მესამე თვეა მხოლოდ ონლაინ რეჟიმში მუშაობს. გაზეთი სტაბილურ გამოშვებას სექტემბრის დასაწყისიდან უზრუნველყოფს.

რედაქცია ბოდიშს უხდის გაზეთის ხელმომწერებს და საერთოდ მკითხველებს ამ შეფერხებისთვის.

იმედი გვაქვს კვლავ ერთად ვიქნებით!

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია.

გაზეთ „ალიონის“ რედაქციის შენობაში ცეცხლის წაკიდების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე კი აღიძრა, მაგრამ...

ალიონი. 12 თებერვალს, დილით ქ. ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩაზე მდებარე ყოფილი ქალაქის მერიის შენობაში ცეცხლის წაკიდების ფაქტი დაფიქსირდა.

გამოძიებისათვის უცნობმა პირებმა გაზეთ „ალიონის“ რედაქციის ფართში ხანძრის გაჩენის მიზნით გარკვეულ სითხეს ცეცხლი წაუკიდეს და იმავდროულად რედაქციის ფანჯარაში პოლიეთილენის ბოთლით საწვავიც შეასხეს.

საბედნიეროს ხანძრის კერა არ გავრცელდა და შენობა, სადაც სტატისტიკის გურიის სამმართველო, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი, განათლების მუშაკთა პროფკავშირები, „გურიის მოამბის“ რედაქცია, და სხვა დაწესებულებებია განთავსებული, დაწვას გადაურჩა. მიყენებულია გარკვეული მატერიალური ზარალი.

შემთხვევის ადგილას მოვიდნენ სახანძრო-სამაშველო სამსახურის, შსს ოზურგეთის რაიონული პოლიციის სამმართველოს ექსპერტ-გამომძიებლები.

მომხდაზე დაიწყო საგამოძიებო მოქმედებები, აღიძრა საქმე სსს კოდექსის 187 -ე მუხლის მე-2 ნაწილის ა - ქვეპუნქტით. გაზეთ „ალიონის“ რედაქციას მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი. რედაქციის მოთხოვნის საფუძველზე შსს ოზურგეთის რაიონული პოლიციის სამმართველომ რედაქციის წარმომადგენელს გააცნო საქმის გარშემო არსებული მასალები, მაგრამ საქმე წინ არ მიდის.

გაზეთ „ალიონს“ მსგავსი პრაქტიკა აქვს, როცა 2005 წლის 16 ივლისს, ქ. ოზურგეთში, ჭავჭავაძის ქუჩა №3-ში დაიწვა სამსართულიანი „პროგრესის სახლი“, სადაც მე-2 სართულზე 200 კვადრატული მეტრი ფართი უვადო უზურფრუქტით გაზეთ „ალიონის“ რედაქციას ჰქონდა გადმოცემული. მანამდე შსს წარმომადგენლები რამდენჯერმე იყვნენ რედაქციაში წინადადებით –დაეთმო რედაქციას ფართი, სხვა ადგილას გადასულიყვნენ....ხანძარმა „ალიონის“, აქ მყოფ სხვა ორგანიზაციებს ძალიან დიდი ზარალი მიაყენა...

სამწუხაროდ, 2005 წელს მომხდარ ხანძარზე გამოძიება ბოლომდე არ მივიდა. მიუხედავად იმჟამინდელი ხელისუფლების დაპირებისა, შენობას აღადგენდნენ –არ შესრულდა. შემდეგ კი იქ შსს გურიის სამხარეო და ოზურგეთის რაიონული სამმართველოების ადმინისტრაციული შენობა აიგო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ორი საჯარო სკოლის კაპიტალური რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ქალაქ ოზურგეთის მე-3 და სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კეთდება - ახალი საკლასო სივრცეებით და სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული პირობებით. პროექტის ბიუჯეტი 11 მილიონ ლარს აღემატება.

მიმდინარე სამუშაოებს გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** ოზურგეთის მერი **ავთანდილ თალაკვაძე,** მერის მოადგილე **ნიკა ბოლქვაძე** და საკრებულოს წევრები გაეცნენ.

სკოლების რეაბილიტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს - სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ხორციელდება.

მდინარე ბჟუჟის ხეობაში აუცილებლად უნდა ჩატარდეს გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები

ალიონი. გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოს“ დამფუძნებელმა **ირმა გორდელაძემ** ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში რეგიონის მედიასაშუალებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან პრესკონფერენცია გამართა. მან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში (გომი), მდინარე ბჟუჟის ხეობაში კომპანია „პარვუს ჯგუფის“ მიერ ოთხი ჰესის მშენებლობის შესახებ ისაუბრა.

როგორც ირმა გორდელაძემ აღნიშნა, ყველაფერი ერთი წლის წინ დაიწყო, როცა სოფელ გომში ვიმყოფებოდით და ერთ-ერთ შეხვედრაზე ითქვა, რომ უცნობი კომპანია („პარვუს ჯგუფი“) მდინარე ბჟუჟის ხეობაში ჯერ 2, შემდეგ 3 მცირე ჰესის („ბასრა 1“, „ბასრა 2,“ „ბასრა 3“) აგებას აპირებდა. მათ სამუშაოები უკვე ჰქონდა დაწყებული. შემდეგ გაირკვა, რომ „პარვუს ჯგუფს“ ოზურგეთის მერიასთან გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი და ადგილობრივი ხელისუფლება ინფორმირებული იყო ხეობაში მიმდინარე მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ.

– ჩვენ თვეების მანძილზე ვითხოვთ საჯარო ინფორმაციას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისაგან. ამ დრომდე მათგან პასუხი არ მიგვიღია. ასევე, მივწერეთ გარემოს დაცვის სააგენტოს. მათგან ინფორმაცია, თუ რას აპირებდა „პარვუს ჯგუფი“ ბჟუჟის ხეობაში.

თავდაპირველად „პარვუს ჯგუფი“ არანაირი სიმძლავრის გაზრდას არ გეგმავდა, რადგან მცირე ჰესების მშენებლობა მიმდინარეობდა და კანონმდებლობით არ საჭიროებდა გარემოს დაცვის პროცედურების, გზშ-ს და სკოპინგის გავლას.

მდინარე ბჟუჟს ახასიათებს ღვარცოფული მოვარდნები. ეს ტერიტორია გეოლოგიურად, სეისმიურად საშიშია. ასეთ ადგილას აუცილებლად უნდა ჩატარდეს გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე გავრცელდა „პარვუს ჯგუფის“ განცხადება, სადაც წერია, რომ აღნიშნული კომპანია დამატებით კიდევ ერთი ჰესის –„ბასრა 4“-ის მშენებლობას და სიმძლევრეების 30 მეგავატამდე გაზრდას აპირებს. მოხდა სკოპინგის ანგარიშის წარდგენა სოფელ გომში. ამ შეხვედრაზე ვესწრებოდი და პირდაპირ გეტყვით, რომ გავაპროტესტე. აქედან გამომდინარე, ეროვნული სააგენტოს სახელზე გავაგზავნე წერილი და მივუთითე, რა შენიშვნები და რეკომენდაციები მქონდა“, – აღნიშნა პრესკო-ნფერენციაზე ირმა გორდელაძემ.

მედიას მდინარე ბჟუჟის ხეობაში ჰესების მენებლობის პროცესში სიმძლავრეების გაზრდის მოტივაციაზე კომპანია „პარვუს ჯგუფმა“ უპასუხა:

„2021 წლის ზაფხულში კომპანია „პარვუს ჯგუფმა“ გურიის რეგიონში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე ბჟუჟას ხეობაში, ბოლო დასახლებული პუნქტიდან 10კმ-ზე მეტი დაშორებით, მცირე ჰესების მშენებლობისთვის წინა საპროექტო კვლევითი სამუშაოების ჩატარება დაიწყო. მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით ჩატარებული კვლევებისა და დეტალური პროექტირების ეტაპზე გამოიკვეთა საპროექტო არეალში პოტენციალის ეფექტურად ათვისების უკეთესი შესაძლებლობა, თუმცა, ამ დრომდე გადამცემ ქსელთან მიერთება შესაძლებელი იყო მხოლოდ შეზღუდული სიმძლავრით, რაც მდინარის გარკვეული პოტენციალის ათვისებას აფერხებდა.

ვინაიდან საკვლევ რეგიონში უკვე დაიწყო 110 კვ ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ოზურგეთი-ზოტიჰესის'' მშენებლობა (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება 2-10-78; 12/11/2019), რეგიონში გაჩნდა „ბასრაჰესების'' საპროექტო წარმადობის გაზრდის და წარმოებული ენერგიის გაზრდილი რაოდენობის საერთო ქსელში ჩართვის ახალი პერსპექტივა, რომლიც სამომავლოდ ქსელზე მიერთებული მომხმარებლების ელექტრომომარაგების საიმედოობის გაზრდის, ელექტროენერგიის ხარისხის გაუმჯობესების და არაგეგმიური წყვეტების შემცირების შესაძლებლობას იძლევა.

„ბასრაჰესების'' სიმძლავრეების დაკორექტირება განსაზღვრულია ასათვისებელი წყლის ობიექტ(ებ)ის ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესაძლებლობიდან გამომდინარე 4 ძალურ კვანძში (არსებული ჰესის შენობებში) მაღალი გამომუშავების/სიმძლავრის ტურბინების მოწყობის გზით. „ბასრაჰესების'' სიმძლავრეების დაკორექტირების შემდგომ ჯამური სიმძლავრე მიაღწევს დაახლოებით 30 მეგავატს (29.34მგვტ).

რაც მთავარია, დამატებითი ელექტროენერგიის გამომუშავების გეგმა გამორიცხავს გარემოზე დამატებით ზეგავლენას, სიმძლავრის გაზრდა მოხდება მხოლოდ დამატებითი ტურბინების და არსებული ტურბინების მოდიფიკაციის ხარჯზე.

კომპანიის მიერ პროექტის განხორციელება ხდება საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული„ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძვე-ლზე.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით კომპანიამ ჩაატარა კანონმდებლობით დადგენილი წინა სამშენებლო კვლევები, რომელმაც შესაძლებლობა მისცა პროექტს გადასულიყო სამშენებლო ფაზაზე; იტალიურმა საპროექტო კომპანიამ უზრუნველყო ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური დიზაინის მომზადება;კომპანიამ მოიპოვა პროექტის განხორციელებისათვის საჭირო და პროექტის არეალში მოქცეულ მიწებზე შესაბამისი უფლებები; მუდმივად ტარდება სამშენებლო მასალების ხარისხისა და უსაფრთხოების მონიტორინგი.

მცირე ჰიდროელექტროსადგური სმშენებლობა (პირველი პროექტით) არ ითვალისწინებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის აუცილებელი სამუშაოების ჩატარებას.ვინაიდან პროექტის დადგმული სიმძლავრე უკვე ექვემდებარება გარემოს ზემოქმედების კუთხით შესაბამის პროცედურებს, კომპანია ამ ეტაპზე ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებით სამუშაოებს, სკოპინგის ფარგლებში უკვე წარვუდგინეთ ადგილობრივებს პრეზენტაცია ჰესების ტექნიკური მახასიათებლების აღწერით, ალტერნატივების ანალიზით, შემარბილებელი ღონისძიებების ნუსხით ელექტროენერგიის გენერაციის გეგმით, ხარჯსარგებლიანობის და რისკების ანალიზით, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ჩასატარებელი აქტივობების ჩათვლით.

უახლოეს მომავალში მოხდება ადგილობრივი საზოგადოებისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის წარდგენა.“

გაზეთ „ალიონის“ რედაქციამ ცალკე კითხვებით მიმართა კომპანია „პარვუს ჯგუფს“, რომელიც მოიცავს მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, საინჟინრო-გეოლოგიურ, ბიომრავალფეროვნების კვლევებს, მაკრო და მიკროკლიმატზე კუმულაციური ზემოქმედების შეფასებებს და სხვა საკითხებს.

ბახვი ჰესის საჩუქარი ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონს, 10 წლის ლაზარე ჩხარტიშვილს

2024 წლის 9 ივლისს,,,ბახვი ჰესმა“ ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონს, ოზურგეთელ 10 წლის **ლაზარე ჩხარტიშვილს** საჩუქრად პორტატული კომპიუტერი გადასცა. ღონისძიება საჭადრაკო კლუბ „გურიაში“ გაიმართა და მას კომპანიის წარმომადგენლებსა და ლაზარეს ოჯახის წევრებთან ერთად გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, **გიორგი ურუშაძე,** ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** და ოზურგეთის მერი, **ავთანდილ თალაკვაძე** ესწრებოდნენ.

ლაზარე ჩხარტიშვილი ჭადრაკში საქართველოს ვიცე-ჩემპიონი 8 წლის ასაკში გახდა, ხოლო 9 წლის ასაკში მან საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ის ჭადრაკში ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზეც გაემგზავრება, რომელიც ჩეხეთსა და იტალიაში გაიმართება.

„ლაზარემ 5 წლის ასაკიდან დაიწყო ჭადრაკში მეცადინეობა, მისთვის საყვარელი სპორტია და პროფესიად აქცევს მას. მან მოიპოვა ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების საგზურები. მაქსიმალურს აკეთებს, რაც შეუძლია, რომ ჩვენი ქვეყანა ასახელოს.

ეს დღე მისთვის ძალიან დიდი მოტივაციაა და გაორმაგებული ძალებით გაგრძელებს მუშაობას. მადლობა ბახვი ჰესს, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო საჩუქარი გადასცა მას. მადლობა კომპანიას. ეს ლაზარესთვის დიდი მოტივაცია იქნება“, – განაცხადა ლაზარე ჩხარტიშვილის დედამ, **თამარ ქათამაძემ.**

„ბახვი ჰესის მიერ ხორციელდება საკმაოდ დიდი ინვესტიცია. საუკეთესო თანამშრომლობის მაგალითია მუნიციპალიტეტსა და კერძო სექტორს შორის. დღევანდელი დღეც ამის ნათელი დადასტურებაა. გურიის რეგიონში, კერძოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გვყავს საქართველოს ჩემპიონი ჭადრაკში, ლაზარე ჩხარტიშვილი 10 წლის ასაკის. ეს არის გურიისთვის პირველი პრეცენდენტი, რომ ამ ასაკის საქართველოს ჩემპიონი გვყავს. კომპანიამ გამოხატა ინიციატივა და ლაზარეს დღეს საჩუქრად გადაეცა ლეპტოპი, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კომპანია ბახვი ჰესს და წარმატებები ვუსურვო ლაზარეს“,– განაცხადა გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა, **გიორგი ურუშაძემ.**

„დღევანდელი დღე ბახვი ჰესისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და სასმყოა. 10 წლის ლაზარეს, რომელიც ამ ასაკში ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონი გახდა, საჩუქრად პორტატული კომპიუტერი გადავეცით. მივიღეთ ინფორმაცია, რომ როგორც სკოლის, ასევე ჭადრაკთან დაკავშირებული დავალების ხარისხიანად შესრულებისთვის მას სწორედ ეს ნივთი სჭირდებოდა. შესაბამისად, დღევანდელი დღე არა მარტო ლაზარესთვის, არამედ კომპანიისთვისაც დიდი მოტივაციაა, რადგან გვსურს მომავალი თაობის განვითარებაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. წარმატებებს ვუსურვებთ ლაზარეს დაგეგმილ ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე. დარწმუნებულები ვართ, ის ჩვენს ქვეყანას და გურულებს კიდევ ერთხელ ასახელებს“,– განაცხადა ბახვი ჰესის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერმა, **დავით კობერიძემ.**

სოფლის ცხოვრება

ბახვი ჰესი

კომპანია ბახვი ჰესი – ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

„ჩხავერისა“ და „საკმიელას“ შემდეგ გურიაში კიდევ ერთი გურული ვაზის „ბადაგის“ პოპულარიზაცია იწყება

„ბადაგი“ ეს არის უნიკალური გურული ვაზის ჯიში, ის შეუდარებელია როგორც საღვინედ, ასევე სუფრისათვის. ის უნიკალურია როგორც სასმელად, ასევე გემოთი, შესახედაობითა და ტრანსპორტაბელურობით. ყველა ამ თვისებას „ბადაგი“ აკმაყოფილებს სრულად და აუცილებლად მიგვაჩნია მისი გავრცელება, ანუ აღდგენა გურიაში“

ანდრო ვაშალომიძე-გურული მევენახეობის მკვლევარი



ანდრო ვაშალომიძე – გურული მევენახეობის მკვლევარი, ათეული წლების განმავლობაში მუშაობს დაკარგული გურული ჯიშის ვენახების აღდგენაზე, აღმოაჩინა და აღორძინა 40 -ზე მეტი გურული ვაზი, მოაშენა და პოპულარიზაციას უწევს ამ ჯიშებს.

„გურიის მოამბე“ „ბახვი ჰესის“ რუბრიკის „სოფლის ცხოვრება-წარმატებული ფერმერები“ ფარგლებში, ბატონ ანდროს შეხვდა და გურიაში მევენახეობის პერსპექტივებზე ესაუბრა.

„30 წელზე მეტია ამ საქმიანობას მივსდევ, მინდა განვდევნოთ გურიიდან უვარგისი ვენახის ჯიშები, რომლებიც დამკვიდრდნენ გასულ საუკუნეში გურიაში, ჩვენ 60 ზე მეტი ჯიშის ვენახი გვქონდა, ამათგან 40 ზე მეტი მოვიძიე და ავაღორძინე, მთავარია ახლა ჩვენს სავენახე მეურნეობებში გავამრავლოთ ეს ჯიშები, აღდგენილი ვენახებიდან ვარჩევ საუკეთესოებს, რომლებიც ჩემს სადემონსტრაციო ნაკვეთშია, სამწუხაროდ ამ ჯიშების დაკარგვა საუკუნენახევრის წინ დაიწყო, როცა ჩვენთან სხვადასხვა მძიმე, მათ შორის სოკოვანი დაავადებები შემოვიდა, მაშინ ჩვენს თავს არ ვეკუთვნოდით და გაუჭირდა გლეხს მისი ვენახების დამოუკიდებლად დაცვა მავნებლებისაგან, ახლა ვიმყოფებით ამ მივიწყებული და გაქრობის პირას მყოფი ვენახების აღდგენის პროცესში, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე 43 ჯიშის ვენახი აღდგენილია, ინტენსიური მუშაობა დანარჩენის მოსაძიებლად გრძელდება.

*ჩვენ ახლა ვიმყოფებით ჩემს საკუთრებაში არსებულ სადემონსტრაციო ნაკვეთში,სადაც არის გურული ვენახების 17 რჩეული ჯიში. აქედან ვაწარმოებ პროდუქციას, გამაქვს ფესტივალებზე და ვუმტკიცებ საზოგადოებას, რომ გურიის მეღვინეობა არ არის „ადესა“ ანაც „ჭეიშვილი“ და ესენია: – **ჩხავერი, საკმიელა, კლარჯული, თეთრი კამური, ჭუმურტა, სხილათუბანი, ალადასტური,** თავისთავად ბევრი ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სახელია, მაგალითად **კლარჯული,** სახელიდანაც ნათელია რომ ეს ვაზი ტაო კლარჯეთიდანაა შემოტანილი და სავარაუდოდ იმ ადამიანების მიერ, ვინც კლარჯეთიდან აქ გადმოვიდა საცხოვრებლად, ძალიან უცნაურიც და საინტერესოცაა რომ გურულ ვაზს ქვია კლარჯული. შემდეგ მოდის **ჯანი, მტევანდიდი, მტრედისფეხა, ორონა, ბადაგი,** ბადაგი არის უნიკალური გურული ვაზი, რომელსაც აქვს როგორც სასუფრე, ასევე საღვინე დანიშნულება. საერთოდ, ტექნოლოგიურად, ვაზის ჯიშები სამ ნაწილად იყოფა, საღვინე, სასუფრე და საქიშმიშე. ბადაგისნაირი თვისებები აქვს, ანუ საღვინეცაა და სასუფრეც თეთრი კამური, ჩვენთან საერთოდ და დასავლეთ საქართველოში, ვაზის ჯიშები ძირითადად სასუფრე და საღვინეა, საქიშმიშე ვაზები აღმოსავლეთ საქართველოშია. არის ასევე შუა აზიაში და ირანში, საღვინე ყურძნებში მე პირველ სამეულს ასე ჩამოვაყალიბებდი – თეთრყურძნიანებში აქ ლიდერი საკმიელაა, ვარდისფერყურძნიანებში თავისთავად ჩხავერი– ხოლო წითელ ყურძნიანებში არჩევანი უფრო დიდი გვაქვს – ჯანი, ჭუმურტა, მტრედისფეხა.*

რაც შეეხება სასუფრეს, ნომერ პირველი სასუფრე ვაზი კლარჯულია.

სამწუხაროდ ჩვენ გვქონდა დაახლოებით საუკუნენახევრის წყვეტა ამ დარგში, ახლა ვიღვიძებთ, ვიწყებთ შესწავლას, მაგალითად, სანამ მე საკმიელას აღმოვაჩენდი, 20 წლის წინ ვაზისუბანში, დღევანდელი სამტრედია, და ავაღორძინებდი, მისი არსებობის შესახებ მხოლოდ სამმა მეცნიერმა იცოდა, დღეს გურიაში საკმიელა ყველამ იცის, მაპატიოს სამტრედიელებმა, მაგრამ უძველესი გურული მიწაა.

მე სანამ ამ საქმეს მოვკიდებდი ხელს დავიწყე გურული მევენახეობის ისტორიის შესწავლა, გასული საუკუნის 90 იან წლებში, როცა დავინტერესდი „ადესისა“ და „ჭეიშვილის“ ისტორიით გავიგე რომ „ადესა“ და „ნოე“ შემოსული ვაზის ჰიბრიდული ჯიშებია, ასევე „ჭეიშვილი“ ფრანგების მიერ მე- 19 საუკუნეში მიღებული ჰიბრიდია, დავუსვი ჩემს თავს კითხვა, აბა რაა გურული ვაზის ჯიში?

*მეცნიერებისა და ისტორიკოსების ნაამბობიდან გავიგე, რომ **საუკეთესო გურული ვაზის ჯიში საკმიელაა** და დავიწყე მისი ძებნა. რომ არ მოგატყუოთ 8 წელი ვეძებე – და სანამ საკმიელას ვიპოვიდი 12 სხვა გურული ვაზის ჯიში ვიპოვე.*

ძიება გურული ვაზის ჯიშების დღესაც გრძელდება, მთელი ერთი წლის განმავლობაში, მიკავშირდებიან გურიის სხვადასხვა სოფლებიდან მეუბნებიან, რომ ეზოში ან სადმე აღმოაჩინეს ძველისძველი ვაზი, მისი წინაპრების დარგული, მე ვინიშნავ მონაცემებს და შემოდგომით ვიწყებ დათვალიერებას, ახალ--შეუსწავლელ და დაუდგენელ ვაზს ვაგზავნით სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეურნეო კვლევითი ცენტრის ლაბორატორიაში, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიღაურაშია, სადაც ადგენენ ვაზის ჯიშს, დადგენის პროცესი ხშირად დროში იწელება, რადგან რთული საქმეა. **ლევანი უჯმაჯურიძეა** *ხელმძღვანელი, უმნიშვნელოვანეს და საშვილიშვილო საქმიანობას ეწევა, ხშირად ვაზის ჯიშის დადგენას წლები სჭირდება. გარდა ლაბორატორიისა, ჯიღაურაში საცდელი ბაზაცაა – სადემონსტრაციო ნაკვეთებით.*

ძალიან რთული პროცესია, არ გამიგოთ თითქოს თავს ვიქებდე, ზოგმა სულ არ იცის თუ ეს ვაზის ჯიში აქვს კარმიდამოში, ზოგმა იცის, მაგრამ ხშირად სხვა სახელით იცის, სხვა ჰგონია და სინამდვილეში სხვაა.

ძირითადად გურიაში ძლიერი მევენახეობა ჩოხატაურში იყო, იქ არსებობდა მევენახეობის ორი დიდი ზონა, საჭამიასერის და ფარცხმაბუკისციხის, ოზურგეთში იყო მევენახეობის ერთი ზონა, ბახვი-აჭის, ლანჩხუთში არ იყო მევენახეობის ზონა, იქ უფრო პოპულარული მეცხოველეობა იყო, თუმცა, თავისთავად ლანჩხუთშიც იყვნენ ძლიერი მევენახეები, საბედნიეროდ დღეს უკვე მრავლადაა ის ადამიანები, ვინაც სერიოზულ ფინანსებს დებენ მევენახეობაში.

პირველ რიგში, მინდა ვისარგებლო ამ შესაძლებლობებით, მადლობა „ბახვი ჰესსა“ და რედაქციას, ახალგაზრდებს მივმართო: –არაფერი განსაკუთრებული მევენახეობას, ისეთი მუშაობა, რომელსაც ვერ შეძლებ, ისეთი ცოდნა და

გამოცდილება – რომელსაც ვერ მიიღებ ან ვერ შეისწავლით– არ უნდა, თანაც მიწები ყველას გვაქვს, მარტივი არითმეტიკით რომ შევაჯამოთ, ერთი ჰექტარი ვენახი 30 ათას ლარ შემოსავალს იძლევა, თავისთავად პირველ წელს, როცა სამუშაოების გაწევა გჭირდება და აპარატურის შეძენა, ეს შემოსავალი მცირდება, მაგრამ ყოველ შემდეგ წელს, მაგალითად ჩხავერი – ერთ ჰექტარზე მინიმუმ 30 ათას ლარს გაძლევს, წამლობა და ყველა სხვა პროცედურა კილოგრამზე ლარი იანგარიშეთ, ნუ საკმიელა ახლა უფრო ძვირია, მაგრამ ვფიქრობ საკმიელა ისე ვითარდება, რამდენიმე წელში ჩხავერი მას მაინც გადაასწრებს, ანუ უფრო ძვირი იქნება.

მე მაგალითად დღეში ასამდე ზარს ვპასუხობ, ბევრია ჩემნაირი, რომლებიც მზად არიან თავიანთი ცოდნა და გამოცდილება, უანგაროდ გადავცეთ დაინტერესებულ ადამიანებს.

როცა ზემოთ შემოსავლებზე ვსაუბრობდი, 30 ათასი ლარი, ეს არის მიღებული ყურძენზე, თუ ღვინის წარმოებას დაიწყებთ, ეს შემოსავალი სამჯერ, მინიმუმ ორნახევარჯერ მეტია და მევენახეობა გურიაში, ლურჯი მოცვის წარმოების შემდეგ, მეორე ადგილზეა შემოსავლიანობით. თავისთავად ღვინის წარმოებისათვის დამატებითი აპარატურა, სარდაფი, მარანი, კასრები და სხვა გჭირდებათ .

მნიშვნელოვნად გეხმარებათ სახელმწიფო თავისი პროგრამებით, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები.

გაითვალისწინეთ, ღვინო არ არის მალფუჭებადი პროდუქცია, რაც დრო გადის მისი ფასი იმატებს, და განსხვავებით მოცვისაგან, გურულ ღვინოებზე მოთხოვნილება უახლოეს მომავალში იქნება ყოელთვის მზარდი. მეორე უპირატესობა რაც მევენახეობას აქვს, ჩვენ მეღვინეობის ქვეყანა ვართ, გენეტიკურად მეღვინეები ვართ და ადვილად ვითვისებთ ყველაფერს, რაც მევენახეობა-მეღვინეობას სჭირდება, იქნება ეს ცოდნა, გამოცდილება თუ წესები, ერთადერთი რაც რჩება წარმატებისათვის ეს შრომისმოყვარეობაა და მიმაჩნია, რომ მევენახეობა მეღვინეობა არაფერ ისეთ შრომას არ მოითხოვს რაც ჩვენ არ შეგვიძლია და რისი ძალაც არ შეგვწევს.

ჩემო თანასოფლელებო. გირჩევთ დავანებოთ იქეთ აქეთ ხეტიალს თავი და დავკავდეთ მევენახეობით, მითუმეტეს ახლა, როცა კომუნისტური პერიოდისაგან განსხვავებით, როცა აქცენტი მეჩაიეობაზე კეთდებოდა და სადაც ღვინოს და ყურძენს ფასი არ ჰქონდა, განსხვავებული რეალობა გვაქვს.

ვლადიმერ მენაბდე

წარმატებული ბიზნესმენები გურიიდან – მაგალითი როგორ დავძლიოთ სიღარიბე

სოფლის ცხოვრება

ბახვი ჰესი

კომპანია ბახვი ჰესი – ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

„ტაბერნე გურიაში - აცანა“ - ავთენტური გურული სტუმარ-მასპინძლობის ბრენდი, ღირებულება და ბიზნესი

ინტერვიუ ბრენდის „ტაბერნე გურიაში –აცანა“ დამფუძნებელთან, ქალბატონ კესო მახარაძესთან

– წლების მანძილზე როგორც ჟურნალისტი, სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ ადამიანებთან ინტერვიუებს ვამზადებდი და ვთავაზობდი საზოგადოებას, ახლა ცოტა უჩვეულო ამპლუაში ვარ, ჩემთან ინტერვიუ მზადდება

ყოველთვის სიამაყით აღვნიშნავ, რომ ჟურნალისტის პროფესიას დავუთმე ჩემი ცხოვრების გამორჩეული 15 წელი.

ტურიზმის სექტორში ჩემი გადასვლა კი, რამდენიმე გარემოებამ განაპირობა.

განვითარებაზე მუდმივად ორიენტირებული ადამიანისთვის ძიება ჩვეულებრივი ამბავია.

გამაჩნია საბაზისო მატერიალური ქონება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანაში საცხოვრებელი სახლისა და ეზოს სახით, საქუხიას კანიონსა და ელინაბადოს ჩანჩქერთან მიმდებარედ, რომელიც გამოირჩევა საინტერესო გეოგრაფიული მდებარეობით, უნიკალური ხედებით, ირგვლივ მშვიდი, მწვანე, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით, უნიკალური გარემოთი, წყლით, ჰაერითა და მოწესრიგებული გზით, ამ გარემოებამ გარკვეულწილად მიკარნახა და მე და ჩემს შვილებს და „გაგვაბედინა“ პირველი ნაბიჯების გადადგმა ტურიზმის მიმართულებით.

გავხდი მეწარმე ქალი და რამდენიმე საერთაშორისო პროექტის მხარდაჭერით დავიწყე სამეწარმეო უნარების განვითარება.

სტუმარ-მასპინძლობის სექტორში მცირე ბიზნესის დასაწყებად მუხლჩაუხრელ შრომასთან ერთად რამდენიმეწლიანი ფიქრი, მთელი ჩემი მატერიალური და არამატერიალური რესურსი და ინტუიცია გახდა საჭირო. ხუთი წლის წინ გადავდგი პირველი ნაბიჯი და შედეგი უკვე სახეზეა, ერთ-ერთი საერთაშორისო პროექტის ფარგლებში **„ტაბერნე გურიაში – აცანა“ უკვე არის ბრენდი, ღირებულება, ბიზნესი, რომელიც შესაბამისი სერტიფიკატით დასტურდება.**

აუცილებელი აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ შესაძლოა მთელი ჩემი ძალისხმევა ფუჭად ჩავლილიყო, რომ არა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით მიღებული რამდენიმე მცირე გრანტი და სხვადასხვა სარგებელი.

კონცეფცია, რაზეც დაფუძნდა „ტაბერნე გურიაში – აცანა“-ს ღირებულება, გახლავთ ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი გასტრონომიული ხაზი, ვიზიტორებისთვის განსაკუთრებული შეთავაზება – გურული ბრინჯულას მასტერკლასი, რომელიც მზადდება ორასი წლის ისტორიის მქონე ავთენტურ გურულ საცხოვრებელში შუა ცეცხლზე გაცხელებულ ქვის კეცზე, მარგალიტა ბებიის რეცეპტით, ბრინჯის ფქვილით, ყველით, კვერცხით და ჩემი პატარა საიდუმლოებით.

ქვის კეცზე ბრინჯის ფქვილით და ავთენტური რეცეპტით ბრინჯულას მასტერკლასს და დეგუსტაციას ვიზიტორებს სხვაგან არსად არ სთავაზობენ. აქ ასევე შესაძლებელია ფილში ჩანაყული სუნელის, სახელდახელო სალათის ან ფხალეულის მომზადება და დეგუსტაცია, სეზონური ხილისა და ბოსტნეულის დაკრეფა და დაგემოვნება. უახლოეს მომავალში, გაფართოების შემდეგ, სამზარეულოს მასტერკლასებს უკვე ახალ სივრცეში შევთავაზებთ ვიზიტორებს.

შემდეგი მიმართულება გახლავთ გურულ ავთენტურ სივრცეში გამოფენილი ეთნო ნივთები, მათი ეთნო და ადამიანური ისტორიებით, რომელსაც ამდიდრებს ჩვენი ოჯახის რამდენიმე თაობის საარქივო მასალები.

ტაბერნეს სტუმრებს ეძლევათ შესაძლებლობა ბრინჯულას მომზადებისა და გამოცხობის პროცესში მოისმინონ რეალური და უნიკალური ადამიანური ისტორიები, რომელთა ბედი დაკავშირებულია ეთნოსივრცეში გამოფენილ ნივთებთან

ოჯახის წინაპრების ისტორიები ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ეპოქაში ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლასთანაა დაკავშირებული, ამიტომ ეს ისტორიები მრავალფეროვანია, მოიცავს როგორც პოლიტიკური ნიშნით გაციმბირებულ პოლიტმატიმრების, ისე მარჩენალის გარეშე დარჩენილი მოხუცებისა და ღვთის იმედზე დარჩენილი მცირეწლოვანი ბავშვების საოცრად ემოციურ ბიოგრაფიულ ფრაგმენტებს. მათ ბიოგრაფიაში ერთი საერთო დეტალია, ცხოვრების გარკვეული პერიოდით ისინი ამ ორასი წლის ისტორიის მქონე სახლში ცხოვრობდნენ.

სხვათა შორის, ამ ნაწილშიც ძალიან გამომადგა ჩემი პროფესია, რადგან როგორც ჟურნალისტს, კომუნიკაბელურობის წყალობით არ მიჭირს ემოციური კავშირის დამყარება აუდიტორიასთან. ოჯახის თხრობითი ისტორიები ჩვენს ვიზიტორებში დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან დაფუძნებულია რეალურ ამბებზე და იწვევს დაუვიწყარ ემოციებს.

გასული სეზონიდან მოთხოვნა გაჩნდა ღამისთევის სერვისზე და წელს ახალი სეზონიდან „აწარმოე საქართველოს“ გრანტის ფარგლებში ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ ახალად აღჭურვილი ორი ორადგილიანი სასტუმრო ნომრით. ასე შეიქმნა საოჯახო სასტუმრო სახლი „ტაბერნე გურიაში-აცანა“.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თემის ქალების გაძლიერების მიზნით დავაფუძნე არასამთავრობო ორგანიზაცია „ტაბერნე გურიაში ქალებისთვის”. ორგანიზაციის დაფუძნება მიკარნახა თემში ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი ნაწარმის პოპულარიზაცის იდეამ და თემის ქალების გაძლიერების სურვილმა, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე მე მათთვის მოტივაცია გავხდი.

ვიზიტორების მხრიდან მოთხოვნა გაჩნდა ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივ ნაწარმზე, როგორიცაა გურული ჯანჯუხა, სხვადასხვა ველური ყვავილებისგან ხელით დამზადებული ჩაი, თაფლი და თაფლის პროდუქტები, რძის პროდუქტები, ხელით ნაკეთი სუვენირები (თიხის, ბამბუკის ნივთები და ჭილით ნაქსოვები) და თემის ქალებსაც გაუჩნდათ შემოსავლის წყარო, ეს მნიშვნელოვანი პარტნიორობაა, რომელიც ერთმანეთის გაძლიერებას ემსახურება, მაგრამ ამ კუთხით მეტად განვითარებას ვისურვებდი, მაგალითად, როგორ შევფუთოთ ადგილობრივი ნაწარმი და



როგორ შევქმნათ სარეალიზაციოდ შეთავაზების კალათა.

თემის ქალებთან ერთად მონაწილეობას ვღებულობ ასოციაცია „ჩაის გზის“ მიერ ორგანიზებულ ფესტივალებში, რომელიც მიზნად ისახავს ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი ნაწარმის პოპულარიზაციას.

–ქალბატონო კესო, თქვენ ჩვენს ბევრ კითხვას უპასუხეთ, თუმცა ძალიან საინტერესოა თქვენი აზრი განახლებადი ენერგიის შესახებ.

–როგორც სოფლად მცხოვრები მეწარმე ქალი და თან საოჯახო სასტუმრო სახლის მეპატრონე, ვფიქრობ გამოვიყენო შესაძლებლობა და გაზეთის ფურცლებიდან ორ მეტად სენსიტიურ საკითხზე, **განახლებადი ენერგიის** გამოყენების შესაძლებლობის თემაზე გიპასუხოთ:

– მოხარული ვიქნები, თუკი, **რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით ხელმისაწვდომი გახდება მცირე ბიზნესის სექტორში დასაქმებულთათვის განახლებადი ენერგიის ყოველდღიურობაში დანერგვადა გამოყენება.** ჩემი ოცნებაა, საკუთარ სივრცეში ვიხილო **მზის ელექტრო სადგური,** რომლითაც შესაძლებელი გახდება გათბობის სისტემის დამონტაჟება (ეს მეთოდი საგრძნობლად შეამცირებს ხარჯებს და არის უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა).

ძალიან საჭირო და **ერთგვარად მტკივნეული თემაა ასევე ბიოგამწმენდი საკანალიზაციო სისტემის თემა.** მოგეხსენებათ, გურიაში სოფლებში არ არსებობს ერთიანი საკანალიზაციო სისტემა, რაც არსებობს, ის სერიოზულ საფრთხეს უქმნის გარემოს, აბინძურებს ნიადაგს, მდინარეებს, ღელეებს, მოქმედებს ფუტკარზე. თუკი, ბიოგამწმენდი დანადგარების შეძენა და დამონტაჟება მასიურად ხელმისაწვდომი გახდება, არა მარტო ეკოლოგიას მივცემთ ამოსუნთქვის საშუალებას, არამედ ბევრი უხერხულობა მოიხსნება დღის წესრიგიდან.

აქვე, აუცილებლად მინდა შევეხო მცირე ჰესების საკითხსაც, რომელთა გავლენა გარემოზე (ბახვი ჰესის მაგალითზე) მინიმუმამდეა დაყვანილი.მე ვფიქრობ, ასეთი მცირე ჰესები საბოლოო ჯამში უფრო მეტ სარგებელსა და პოზიტიურ გავლენას ახდენენ გარემოსა და ადამიანებზე.მიმაჩნია, რომ მათთან პროდუქტიული თანამშრომლობას ტრატეგიული და ეფექტური მეთოდია ჩვენს მოცემულობაში.

ესაუბრა
ნუგზარ ასათიანი

ქშწკგ საზოგადოება. ილია, გურულებთან და მათ გარეშე

(დიდი არალირიკული და აუცილებელი გადახვევა, არანაირ კავშირში რომ არ არის მთავარ თემასთან)

დღეს მამა-შვილი სანიკიძის „უბის ისტორიის“ გაციფრულება დავიწყე. განა არ ვიცი საქართველოს ისტორია „მეფეთა ისტორია“ რომაა?!

ვიცი და მაინც ამ ორი პატარა „უბის ისტორიიდან“ რომელთაგანაც პირველი

„ქართული ბასილოგრაფია: (მეფეთა ნუსხა)“ არის და მეორე

„ქართული ქრონოგრაფია : (მნიშვნელოვან თარიღთა ნუსხა)“ მე მაინც მეორე ავირჩიე.

საოცარი მოგზაურობა გამოვიდა და ვიდრე ამ მოგზაურობის რამდენიმე ჩანაწერს თქვენთვისაც გავამზადებ, გეტყვით: ბატონი ლევან სანიკიძე კარგა ხანს გურული მეგონა, ჩვენებურ სურებში დაბადებულ-გაზრდილი.

სხვათაშორის, ბატონი ლევანის გაცნობის თარიღიც მახსოვს 1978 წელი. სწორედ ამ წელს გამოვიდა „უქარქაშო ხმლების“ მესამე ტომი...

დღეს კი, როგორც ამ გადახვევის დასაწყისში აღვნიშნე, „უბის ისტორიის" მეორე ნაწილის გაციფრულება დავიწყე.

ბევრი რამ არ მახსოვდა.

ცოტა მახსოვდა და მივედი ასე გახსენება/ვერგახსენებით დავით აღმაშენებლის გარდაცვალებამდე.

მივედი და ისე მეტკინა, თავად თუ არ განიცსდეთ, ისე რომ ვერ წარმოიდგენთ.

მენდეთ, იმ საუკუნის ქვეშევრდომი ვიყავი და დიდი ხელმწიფე 52 წლის ასაკში, ჩემზე მთელი 6 წლით უმცროსი, მომიკვდა...

„ბოლოს, მოსწყინდა სიკვდილს „მოკვდავ ღმერთთან“ თამაში და მას მიეახლა და მიესხეულა სულ უბრალო, უთვალავჯერ ნატკეპნი და ცადი წესით. იქ მიაკითხა, სადაც სიკვდილს მილის ყოველი მარტივი კაცთაგანი – შინ, სახლსა შინა, ჩვეულებრივ სარეცელსა ზედა...

...1125 წლის დამდეგს დავით მეფე ტფილისის სასახლეში იყო. საახალწლო დღეები იმ წლის საშინაო და საგარეო განაზრახთა განსჯას მოანდომა. რომელიღაც დიდი საომარი ლაშქრობისათვის ემზადებოდა მეფე იმ ზამთარს.

და სწორედ ამ „დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა“ წარმართვაზე ფიქრობდა დიდი ხელმწიფე, როცა უეცრად ფიქრი შეიბრუნა და... დაებადა ფიქრი ანდერძზე!

... ანდერძი მზად იყო.

და იმ დღესვე დავითმა საქართველოს ტახტზე დასვა დემეტრე, საკუთარი ხელით „დაადგა თავსა შუენიერსა გვირგვინი პატიოსანთა... და შეარტყა წელთა ძლიერთა მახვილი, ეჰა, რაბამსვიანად ხმარებული, და დაულოცა ცხოვრება წარმარ-თებული და განგრძობა დღეთა ბედნიერებით“...

ახლა – „გალობანი სინანულისანი“ *დავით მეფისა – გასაოცარი აღსარება, ზენაარ სულის პოეზია და ფილოსოფია...*

... და სიკვდილიც შეჰყვა რკინის ფეხით „სახლსა სადავითოსა“. შეჰყვა, რადგან სწამდა: არც დავით მეფის ძარღვებში ჩქეფდა იქორი – ღმერთთა სისხლი.

და იდგა 1125 წელი, 24 იანვარი, დღე შაბათი.

და საქართველოს მოუკვდა მისი მაცხოვარი –დავით აღმაშენებელი.“

ის რაც ახლა გაგახსენეთ, რამდენადაც ვიცი „დედა ისტორიის“ ბოლო, „სასკოლო ბიბლიოთეკის“ გამოცემიდანაა, არც გამოცემის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ბონდო მაცაბერიძეა ცოცხალი..

* * *

გაციფრულება დროებით გვერდზე გადავდე, გაზეთ „ალიონის“ წინა ნომრის მეხუთე გვერდი კიდევ ერთხელ გულდასმით წავიკითხე და შეწყვეტილი თხრობა დედისთვის და თქვენთვის გავაგრძელე...

***

„სიმართლე მოითხოვს აღვიაროთ, რომ „ივერიის“ პუბლიცისტები რამდენიმეთ განირჩევიან „ცნობის ფურცლის“ ახლათ მოვლენილი დევ-გმირისაგან, რომელსაც ეწოდების **არჩილ ჯორჯაძე**. ამ უკანასკნელს როდი უყვარს „ივერიის“ პუბლიცისტებსავით ღრმა, გაუგებარი და ბუნდოვანი ფრაზებით ლაპარაკი. ის ნათლათ და მარტივათ აყენებს კითხვებს, ასევე სწყვეტს იმათ. ის სულ სხვა საკითხია, თუ რა კითხვებია ბ. ჯორჯაძის მიერ წამოყენებული კითხვები, ან რა პასუხს იძლევა იგი იმათ შესახებ. ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ბ. ჯორჯაძის წერის მანერაზე, მისი ნაწერების გარეგან მხარეზე. სწორე მოგახსენოთ, ამ მხრით ბ. ჯორჯაძე კარგად გაწვრთნილ სარდალს მოგვაგონებს, რომლის თითოეული ბრძანება დაუყოვნებლივ სრულდება ჯარისკაცების მიერ. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი სიტყვებიც ვითომც ისე სრულდებოდეს, როგორც სარდლის ბრძანება, მხოლოთ მისი კილო ისეთია, რომ სარდლის ბრძანებას მოგაგონებს. ავიღოთ, მაგ., მისი წერილი „ძველი თაობა“ („მოამბე“», VI, 1901 წ.). ავტორს სურს დაახასიათოს თ-დი ილია ჭავჭავაძე, როგორც პუბლიცისტი, ამისთვის მას სრულიად საკმარისათ მიაჩნია პასუხი მისცეს მხოლოთ შემდეგ ორ კითხვაზე: *„რა ნაირი, რა თვისებისა იყო ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მოძღვრება? რა მიმართულებას ადგა ის საზოგადოებრივ და ეკონომიურ კითხვების განმარტებაშიო?“* (გვ. 62). ბ. ჯორჯაძე გვპირდება ამ ორი კითხვის გარკვევას, მაგრამ იგი ეხება რამდენიმეთ მხოლოთ პირველს და ერთ სიტყვასაც არ ამბობს მეორეზე.

ილია ჭავჭავაძის „პოლიტიკური სიმბოლო — ამბობს ბ. ჯორჯაძე — გამოისახება ეროვნული ცხოვრების აღორძინების საჭიროებაშიო“. ამ წინადადებას ავტორი ამტკიცებს ციტატებით ჭავჭავაძის სხვადასხვა სტატიებიდან, საიდანაც ჩვენა ვხედავთ, რომ ილია ჭავჭავაძე მოთქმით და გოდებით უყურებდა იმ გარემოებას, რომ ქართველები რაც ხანი გადიოდა, სულ უფრო და უფრო იყოფოდენ სრულიად ახალ ჯგუფებათ და კლასებათ. იმ ამონაწერებიდან ვხედავთ, აგრეთვე იმასაც, რომ ილია ქავჭავაძე, მსგავსათ თვით ბ. ჯორჯაძისა, სრულიად ამაოთ ეხებოდა იმ „საერთო ნიადაგს“, რომელზედაც უნდა შეერთებულიყვენ ეს ერთი მეორის მოწინააღმდეგე კლასები. ამნაირათ, რადგანაც ბ. ჯორჯაძეც. ამ „საერთო ნიადაგის“ ძებნაშია, ამიტომ მან გამოუცხადა თავის ჯარს: **„ჩვენ თითქმის შეუცვლელათ ღებულობთ სახელმძღვანელოთ ილია ჭავჭავაძის ეროვნულ პროგრამასო“** (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). მაგრამ ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ბ. ჯორჯაძის და ი. ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამა ერთი და იგივეა? თუ ასე იფიქრებთ, ძლიერ შემცდარი იქნებით. მართლაც, რა არის ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამა, რაში გამოიხატება მისი აზრით „ეროვნული ცხოვრების აღორძინება“? ე. ი. უფრო მარტივათ რომ ვთქვათ: რა შეადგენს ილია ჭავჭავაძის ეროვნელი პროგრმის შინაარსს? აშკარაა, რომ ეს შინაარსი უნდა ვეძიოთ ჩვენ ეკონომიურ კითხვების ასეთ თუ ისეთ განმარტებაში და ახსნაში. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ჭავჭავაძე წინააღმდეგი იყო ბურჟუაზიული წესწყობილების განვითარებისა ჩვენში (თუმცა თავის პრაქტიკული მოქმედებით ძლიერ შეუწყო ხელი მის დამკვიდრებას ჩვენში); იგი ჰქადაგებდა, რომ ჩვენი ხსნა მხოლოთ მამა-პაპეულ მეურნეობაშია, რომ გლეხები სოფლებიდან ქალაქებში არ გადასახლდენ, რადგან იმ შემთხვევაში დიდი მამულების პატრონები უმუშახელოთ დარჩებიანო. გარდა ამისა ილია ჭავჭავაძე ჰქადაგებდა თავად-აზნაურობისთვის მეტი უფლება-უპირატესობის მინიჭებაზე, რადგანაც ამას, მისი აზრით, მოითხოვდა მთელი ქართველი ერის ინტერესები. ერთი სიტყვით, **ილია ჭავჭავაძე იყო ჩვენში ნატურალური მეურნეობის დამცველი და თავადაზნაურობის მებაირაღე,** ისე, როგორც **ბ. ჯორჯაძე დამცველია ბურჟუაზულ ურთიერთობათა და ქართველი კაპიტალისტების მებაირაღე.** ამნაირათ, ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამა სრულებით სხვაა, ვინემ ბ. ჯორჯაძის პროგრამა; ამ ორ პროგრამას მხოლოთ სახელი აქვს საერთო, არსებითათ კი ისინი ერთიმეორის წინააღმდეგნი არიან. გრძნობს ამას ბ. ჯორჯაძე თუ არა? უეჭველია გრძნობს, რადგანაც პირდაპირ ეუბნება თავის ჯარს: *„მისი (ი. ჭავჭავაძის) ეკონომიური პროგრაში აღარ გვაკმაყოფილებს და ამისთვის ჩვენა ვართ მონდომებულნი იმის ეროვნულ პროგრამას სხვა ეკონომიური, ჩვენი დროის შესაფერი, საფუძველი დავუდგათო.“* (გვ. 64)*) (ხაზს ყველგან ჩვენ ვუსვამთ). ე. ი. ავტორი გვეუბნება, რომ ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამიდან მე მხოლოდ მის გარეგან კანს, ქერქს ვღებულობო; ხოლო რაც შეეხება თვით შინაარსს, ე. ი. პროგრამის სულსა და გულს, ეს კი „ჩვენი დროის შესაფერი“ უნდა იყოსო. ხოლო ჩვენ უკვე ვიცით, რომ „ეს ჩვენი დროის შესაფერი“ ნიშნავს წმინდა ბურჟუაზულ მოძღვრებას. ყოველივე ეს დღესავით ნათელია. ჩვენ გვაკვირვებს მხოლოთ ის გარემოება, თუ რათ უღალატა ბ-მა ჯორჯაძემ თავის მანერას, თუ რათ შესცვალა მან წერის კილო? ე. ი. თანახმათ თავისი ეკონომიური პროგრამისა, პირდაპირ, შეუკიბ-შემოუკიბავათ, რათ არ უარჰყო ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამა ან შეიძლება ეს ერთნაირი ხერხი იყოს, ბრძოლაში გამოსადეგი? ეს

თუ ასეა, ჩვენ ძლიერ ვწუხვართ ბ. ჯორჯაძისთვის, რომ იგი ასე ჩქარა დამდგარა თავდაღმართ გზაზე!..

*) მეორე ადგილას ბ. ჯორჯაძე ამბობს: *„ამ პროგრამას (იგულისხმეთ: ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამა) ჩვენ უნდა დავუმატოთ ჩვენი დროის შესაფერი ეკონომიური მოძღვრება, იმგვარი სოციალური ცხოვრების განმარტება, რომელიც ხშირათ ეწინააღმდეგება ილია ჭავჭავაძის ეკონომიურ შეხედულებასო“ (გვ.73).“*

სულ ეს იყო...

და რაც იყო სანახევროდ გაუგებარია ჩემთვის... თუმცა, იმის გაგებას რა უნდა ბატონი ფილიპე ორმაგად „წუნია“ რომაა - „იწუნებს როგორც ილია ჭავჭავაძის ეროვნულ შეხედულებებს, ისე არჩილ ჯორჯაძისეულ შეფასებებს მის შესახებ“.

ამასობაში „მატიანეს“ კალენდრით 1902 27 იანვარია და ილია „ გაზეთ „ივერიაში“ „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით აქვეყნებს სტატიას „გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია“ („შენი წიგნი მივიღე...“).

წინასწარ გამცნობთ „გომართელის ფილოსოფიაზე“ მე აქ არაფერს ვიტყვი, მაგრამ ისე როგორ იქნება, „არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგიიდან“ რომ არ მოვიტანო ორი აბზაცი.

„არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიით — ძველებმა ხომ მარტო ალღოს აღება იცოდნენ და საქმის კეთება-კი ახლების უნარია. საქმე ის არის, რომ ძველებს არა სცოდნიათ საიდამ მისდგომოდნენ ოჯახს, რომ სამუდამოდ დაექციათ, თუმც ალღო-კი აღებული ჰქონიათ. შენც ხომ იცი, ეხლა მაინც შეიტყე, რომ თუ რისამე დანგრევა-დაქცევა გინდა და ერთბაშად დაფუშვა, საძირკველი უნდა მოუნახო და მთლად გამოუთხარო. ოჯახი რომ გამოშიგნო, გულ-ღვიძლი რომ გაუჩხრიკო, ჰნახავ, რომ საძირკველი მისი ცოლ-ქმრობაა, ასე რომ საცა ცოლ-ქმრობა არა ყოფილა, იქ არც ოჯახი გაჩენილა. ცოლ-ქმრობაზე არის აშენებული ოჯახი. აქედამ განა აშკარა არ არის, რომ ოჯახის ძირიან-ფესვიანად ამოგდება არ შეიძლება, თუ აწ არსებული ცოლ-ქმრობა არ შეიმუსრა, არ დაირღვა, არ გაუქმდა.

ვინ უნდა მისცეს ამ სახელოვანის საქმის მგალითი ადამიანსა? რასაკვირველია, იმან, ვისაც არ უნდა ძველის აზრების სამარცხვინო ჩაჩი დაიხუროს თავზე და ახალ მიმა-რთულების კაცთაგან გამოირიცხოს თავი. აი, კიდევ ძაღლის კუდი სადა მარხია, ჩვენდა საუბედუროდ. ჩვენდა საუბედუროდ-მეთქი! მაგრამ ჩვენი საკუთარი უბედურება იქ რა სახსენებელია, საცა ახალი ჰღაღადებს და გვიწვევს თავი გავიწიროთ...“ - ცოტას ძალმიძს და დარწმუნებული არ ვარ შემიძლია!

და რაც ამწამს შემიძლია „მატიანეს“ „ჩამოსქროლვაა“

კალენდარზე 1902 8 თებერვალია და „გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება დასაწყისი არჩილ ჯორჯაძის სტატიისა „ძველი წესის“ სულთ-ბრძოლა“, რომელშიც საუბრობს ილია ჭავჭავაძის მიერ „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილების „გესლიან დაცინვასა და ულმობელ ოხუნჯობაზე“... საიდანაც ერთ წინადადებსაც კი არ მოვიტან აქ... თუნდაც „ჭაშნიკად“.

წყაროს გამცნობთ და თუ დაგაინტერესებთ... ნახავთ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902, 1720.). არც ილიას გაზეთ „ივერიაში“ „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით გამოქვეყბებული სტატიიდან („პატარა საუბარი“ („ძლიერ საყურადღებო ხანა დაგვიდგაო“, ბრძანებს ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე“). მოვიტან რამეს...

გაივლის დრო და... დარწმუნებული ვარ ზემოთ თქმულ ქალბატონ მაიას სიტყვებს გულწრფელად და სრულად დავეთანხმები, მანამდე კი ბატონ ჯანრი კაშიას კიდევ ერთხელ მოვუსმენ. (რადიო თავისუფლება, რადიო გადაცემათა ციკლი „საქართველო"; გადაცემის დევიზი – საქართველო უპირველეს ყოვლისა; რადიო თავისუფლება, პარიზი. ჩანაწერი იხ. აქ ჰტტპს://ივერიელი.ნპლგ.გოვ.გე/ჰანდლე/1234/69211?მოდე=ფულლ).

P.s

წერილი გაზეთ „ალიონში“ გაგზავნამდე დედას წავუკითხე...

დიდხანს ვუკითხავდი.

დიდხნიანი შესვენებებით და რომ მოვრჩი... ყველაზე დიდხნიანი „შესვენების“ შემდეგ რაღაცნაიად გულდაწყვეტით მითხრა, იქნებ საკუთარ თავს უთხრა უფრო... „რაღაც აკლია და სულ არ ჰგავს შენ დაწერილს“.

დავეთანხმე...

ხომ იცით როგორცაა... დედები მაშინაც მართლები არიან, როცა შვილები არ ვცდებით...

გიო კილაძე

ოზურგეთის კოლორიტები

ლადო ხავთასი 93 წლისაა



ლადო ხავთასი 93 წლისაა. მისი განვლილი, თითქმის საუკუნოვანი გზა, იმდენად ბევრის მომცველია, რომ მისი აღწერა ერთ საგაზეთო წერილში პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ შევეცდებით, მისი პიროვნების და ცხოვრების ძირითად შტრიხებზე გავამახვილოთ ყურადღება.

იგი დაიბადა 1931 წლის 15 ივნისს ქ. მახარაძეში, ზვანში, კოლმეურნეების ოჯახში. 8 კლასის დამთავრების შემდეგ, 1946 წელს სწავლა განაგრძო მახარაძის ჩაის მრეწველობის ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო სოფ.ზვანის კოლმეურნეობაში აგროტექნიკოსად. 1952 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, მსახურობდა პენზის ოლქში, სადაც გაიარა სწავლება ქ.კამენკას სამხედრო საფრენოსნო სკოლაში. შესრულებული აქვს 10-ზე მეტი საპარაშუტო ხტომა. დემობილიზაციის შემდეგ, ისევ ზვანის კოლმეურნეობაში განაგრძო საქმიანობა, თუმცა მალევე გადადის სამუშაოდ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში, სატრაქტორო ბრიგადის აღმრიცხველად. 1959 წელს, ბატონი ლადო გადაჰყავთ მახარაძის საქსოფლო-ტექნიკის გაერთიანებაში, ტექნიკური მომსახურების სადგურის ინჟინერ-მექნიკოსად. 1963-1966 წლებში კი, იგი ამავე გაერთიანებაში სამექანიზაციო სამუშაობის უფროსი ინჟინერია.

ლადო ხავთასის 90 წლის იუბილეს მონაწილეები. 2021 წ.

მან 1965 წელს სამუშაოდან მოუწყვეტლად, დაამთავრა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაციით. 1971 წლიდან, იგი, გაერთიანების მთავარი ინჟინერია, ხოლო შემდეგ, სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზის დირექტორი. როგორც კარგი ორგანიზატორი და გამოცდილი სპეციალისტი, 1973 წელს, ლადო გადაჰყავთ „საქსოფლტენიკის“ მახარაძის გაერთიანების მმართველის მოადგილედ. 1975 წელს კი, ინიშნება საქართველოს დამზადების სამინისტროს გაერთიანებული, ექვსი წისქვილ-ქარხნის დირექტორად, რომელიც წარმოების მოცულობის ყოველწლიურ ზრდაზე იგეგმებოდა და შესაბამისად დარგის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენდა. სწორედ აქ გამოიკვეთა ბატონი ლადოს ორგანიზატორული ნიჭი. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ამ მსხვილი საწარმოს მრავალწლიანი წარმატებული ფუნქციონირება, როგორც რესპუბლიკის, ისე საკავშირო მასშტაბით. ბატონი ლადო, მის დაქვემდებარებაში არსებულ საწარმოსთან ერთად, მრავალჯერ არის დაჯილდოებული სხვადასხვა მედლებით, სიგელებით, გარდამავალი დროშებით და ფულადი პრემიებით. 80-იან წლებში წარმოების მოცულობის ზრდამ სეროზული მასშტაბები მიიღო. დამატებით აშენდა კომბინირებული საკვების წარმოების, 400 ტონა სადღეღამისო წარმადობის ტექნოლოგიური ხაზი, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა წისქვილის საამქროს, რომელიც აღიჭურვა უცხოური, პროგრესული მანქანა-მოწყობილობებით. იმ პერიოდისათვის ქარხანა, თავისი საწარმოო მაჩვენებლებით, კავშირის მასშტაბით, ორას საუკეთესო საწარმოს შორის დასახელდა. ბუნებრივია, საწარმოს წარმატებული საქმიანობა, შესაბამის ასახვას პოულობდა რეგიონის და უპირატესად მახარაძის რაიონის სოციალურ-ეკონომიურ მაჩვენებლებზე. ყოველწლიურად უმჯობესდებოდა მასში დასაქმებულ 500-მეტი თანამშრომლის და მათი ოჯახების ყოფითი პირობები. ისინი სარგებლობდნენ უფასო სასადილოთი, ეხმარებოდა მათ ფქვილით, კომბინირებული საკვებით და სხვადასხვა პროდუქტებით. ქარხნას გააჩნდა შიგა მეურნეობა, სადაც მოჰყავდათ ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურები. გააჩნდათ ასევე ღორის ფერმა, რომელთა პროდუქციით სარგებლობდა თანამშრომლები. ქარხანას საწარმოო-ეკონომიკური ურთიერთობები გააჩნდა ქვეყნის 50-მდე რაიონის მეცხოველეობის კომპლექსებთან და ფერმებთან., მ.შ საგარეჯოს მეცხოველეობის კომპლექსთან, რომელიც იმ პერიოდში ამერკავკავკასიაში, დარგის უმსხვილესი ობიექტი იყო.

ბ-ნი ლადო, როგორც მშობლიური კუთხის გულშემატკივარი და ქვეყნის პატრიოტი, მუდამ აქტიურად იყო ჩართული რაიონში არსებული პრობლემური საკითხების მოგვარებაში. 90-იანი წლების დასაწყისში, როცა აფხაზეთში უკიდურესად გარღმავდა კონფლიქტი, მოსახლეობას ჩაუტანეს დიდი რაოდენობით ფქვილი, ღორის ხორცი, კომბინირებული საკვები და თანამშრომლების მიერ შეგროვილი ტანსაცმელი და სხვა საკვები პროდუქტები. ასევე, დახმარება გაუწიეს აჭარის მთიანეთში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებურ მოსახლეობას. ასეთი მაგალითები კი არაერთია. გარდა იმისა, რომ ბატონი ლადო წარმატებული მენეჯერი იყო, იგი ღრმა ცოდნას ავლენდა ტექნოლოგიურ და ტექნიკურ საკითხებში. მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულია სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით. ასევე შესაბამისი დიპლომებით, რომელთაგან ერთი გაცემულია რაციონალიზატურ ტექნიკურ გადაწყვეტაზე, რომელიც თავის საწარმოში განხორციელდა და დაინერგა. ბატონი ლადოს პიროვნებაზე კარგ წარმოდგენას იძლევა მისი პირადი არქივის ნახვა, რომელშიც თავმოყრილია როგორც პირადი ცხოვრების, ისე საწარმოს ზეობის ხანის ამსახველი ფოტო-დოკუმენტური მასალები. დამთვალიერებელს ნათელი წარმოდგენა ექმნება, თუ რას წარმოადგენდა და როგორ განვითარდა საწარმო მისი 30-წლიანი ხელმძღვანელობის პერიოდში. თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობებით დაკომპლექტებული საამქროები. მომსახურე პერსონალისთვის შექნილი მაღალი დონის სანიტარულ-ჰიგიენური და შრომის დაცვის და უსაფრთხოების გარემო. სასადილო, კლუბი. ბიბლიოთეკა, სატუმრო ოთახები და ა.შ.

90-იანი წლების (პოსტსაბჭოთა პერიოდის) დასაწყისიდან, როცა სისტემის რღვევამ, ქვეყანაში მწვავე ეკონომიური და კრიმინალური მდგომარეობა წარმოქმნა, საწარმოები ურთულესი სამართავი გახდა. საწარმოები, წარმოების ხელმძღვანელები მოთარეშე შეიარაღებული ბანდების, ყაჩაღების და ქურდების სამიზნე გახდა, რომლებსაც ფულს სძალავდნენ, ხოლო მატერიალურ ქონებას ჯართად ართმევდნენ.

ოზურგეთში მნიშვნელოვანი საწარმოო და სავაჭრო ობიექტები ხშირი თავდასხმების გამო საერთოდ დაიხურა. იმ პერიოდში, როცა ქვეყანაში პურის პრობლემა შეიქმნა, კომბინატის შეუფერხებელ მუშაობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა. ამ რთულ პერიოდში, ბ-ნი ლადო, რომელსაც მუდამ ახასიათებდა საქმისადმი ერთგულება და მაღალი პასუხისმგებლობა, პირადი ავტორიტეტით და საურთიერთობო უნარით ახერხებდა, როგორც ხორბლის მოძიება-შემოტანას, ისე მის შეუფერხებელ გადამუშავებას.

კრიმინალთა თარეშით შექმნილ რთულ სიტუაციაში, საპენსიო ასაკს მიახლოებულმა ბატონმა ლადომ, რომელიც რამდენჯერმე გახდა მათი თავდასხმის ობიექტი, გადაწყვიტა სამუშაოდან წასვლა. მაგრამ მოხდა პირიქით. თხოვეს პურკომბინატთან ერთად, დამატებით რაიონში არსებულ პურის საცხობი ობიექტებისთვისაც ეხელმძღვანელა. მართალია დაპირდნენ მისი და მის დაქვემდებარებაში არსებული ობიექტების დაცვის გაძლიერებას, მაგრამ, კრიმინალთა გავლენა იმდენად დიდი იყო,რომ ვერც მან და მისი ოჯახის წევრებმა და საწარმომ თავდასხმები ვერ აიცილა. ქ. ოზურგეთში, სახლში 2-ჯერ შეუვარდნენ, 3-ჯერ სახლი დაუცხრილეს, 25 წლის შვილი გაიტაცეს,რომლის დაბრუნების ოპერაციას მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რომან გვენცაძე ხელმძღვანელობდა. ორჯერ, სხვადასხვა დროს ფეხში დაჭრეს, რომლის გავლენით დღესაც კოჭლობს. ადვილი წარმოსადგენია რა გადაიტანეს მისმა შვილმა და მეუღლემ, რომლებიც რამდენჯერმე აღმოჩნდნენ სიკვდილის პირისპირ. მართალია, იმ პერიოდში გადარჩნენ, მაგრამ გადატანილმა თავის კვალი მაინც დატოვა. მათ ჯანმრთელობა ისე შეერყათ, რომ ორივე ნაადრევად გარდაიცვალა.

ბატონი ლადო, ცხოვრებაში განვლილ რთულ და უსიამოვნო პერიოდებზე ბევრს არ საუბრობს. როგორც თვითონ ამბობს, ცოცხალი ადამიანი, მუდამ ხვალინდელ დღეზე უნდა ფიქრობდეს და უსაქმოდ არ უნდა იყოს. მას სიამოვნებს იმ ადამიანების გახსენება, რომლებთანაც კარგი მეგობრული, კოლეგიალური, მეზობლური თუ სხვა ურთიერთობა ჰქონია. განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავს იმ ადამიანების მიმართ, ვისთანაც ერთად კომბინატში, ერთმანეთის ნდობით და პატივისცემით წარმატებებს აღწევდნენ.

სამწუხაროდ, დღეს ამ მსხვილი და წარმატებული საწარმოდან, მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი, რაც მასზე კეთილ მოგონებებს, რამდენადმე აფერკთალებს.

მაღალ შეფასებას და პატივისცემას იმსახურებს ბ-ნ ლადოს ცხოვრება საწარმოს გარეთაც, ოჯახსა, თუ სამეგობრო წრეში. მიუხედავად იმისა, სამსახურიდან გამომდინარე, პირადი ცხოვრებისათვის დრო ნაკლებად რჩემოდა, ის ყოველთვის ახერხებდა აქაც მოწოდების სიმა-ღლეზე ყოფილიყო. დღესაც, საკმაოდ სერიოზული ასაკიც ვერ უშლის ხელს, თავის სახლში ტრადიციულად მიიპატიჟოს მეგობრები და სუფრასთან მოესიყვარულოს, თანაც იამაყოს მის მიერ მოყვანილი სასოფლო პროდუქტებით და მაგიდაზე წარმოდგენილი შესაბამისი კერძებით. მართლაც, თუ დაინტერესდებით ამ ადამიანის ყოველდღიური რეჟიმით, უსაქმოდ ერთ წუთსაც ვერ ნახავთ. მოწესრიგებული სახლი და ეზო-მიდამო, ბარაქიანი ბოსტანი, ხილეული და ციტრუსოვანი კულტურების მრავალწლიანი ნარგავები, ვენახის სხვადასხვა ჯიში და მისგან წარმოებული ღვინოები და არაყი, რომლებსაც არც თუ იშვიათად აჭაშნიკებს და ა.შ. თავისუფალ დროს კი, წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს უთმობს. მიუხედავად ასაკისა, საზოგადოებასთან დღესაც ახლოსაა. წლების მანძლზე იყო მხარის გუბერნატორთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს აქტიური წევრი, სადაც მისი მოსაზრებები მუდამ იმსახურებდა ყურადღებას.

ბატონი **ლადო ოზურგეთის საპატიო მოქალაქეა.** ამ წოდების მინიჭებას, იგი განსაკუთრებულ დაფასებად აღიქვამს და დიდ მნიშვნელობასაც ანიჭებს. მართლაც, ოზურგეთელებს დღესაც კარგად ახსოვთ, თუ რა დიდი შრომითა და ერთგულებით აღწევდა ბატონი ლადო, გამკლავებოდა ქვეყნისა და ხალხის ინტერესებთან დაკავშირებულ საპასუხისმგებლო საქმეს. იგი ხშირად სამადლობელი სიტყვებით იგონებს პურკომბინატის თანამშრომლებს, რომელთა თანადგომით, ახერხებდა მრავალმხრივი წინაღმდეგობების დაძლევას. სწორედ კოლექტიური პასუხისგებლობით და ძალისხმევით მიიღწეოდა რთულ პერიოდში რეგიონის პურმომარაგების უწყვეტობა.

93 წელი ნამდვილად სერიოზული ასაკია. მიუხედავად ამისა, ბატონ ლადოს საკუთარი მანქანით, არც თუ იშვიათად შეხვდებით ქალაქში, რომელსაც დღესაც მაღალ პროფესიონალურად ატარებს. მის მეგობრებს განსაკუთრებულა სიამოვნებს ლადოსთან ერთად სუფრასთან ყოფნა, სადაც იგი ქართული ხალხური სიმღერების (უფრო გურულის) უბადლო შემსრულებლად გვევლინება. დღესაც აღიარებულია მისი მაღალი ტონალობის პირველი ხმა, რომელიც ნებისმიერ პროფესიონალთა ანსაბლს შეეწყობოდა.

ბატონი ლადოს განვლილი გზა ბუნებრივად მოიცავს ბევრ აღმართ-დაღმართიან მონაკვეთს, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს, საკუთრივ ადამიანის ცხოვრებაა ასეთი და ყველა უნდა ეცადოს, უფლისგან ნაბოძები სიცოცხლე სასიკეთო საქმეს მოახმაროს და ოჯახის და სამშობლოს სიყვარულში დახარჯოს.

მეგობრები

შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო (1856-1910)



წმ. ნიკოლოზის სიმაგრე და ნავსადგური 1830-იან წლებში, დიუბუა დე მონპერეს ნახატი (ინტერნეტ მასალა)

1853-1856 წწ. ყირიმის ომის შემდეგ შავი ზღვის ქობულეთის სანაპიროს განსაკუთრებული სამხედრო სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. გიორგი ყაზბეგი ნაშრომში „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო-სტატისტიკური და სტრატეგიული ნარკვევები" განაზღვრავს რა წმინდა ნიკოლოზის საგუშაგოს საზღვრებს, მიანიშნებს მდინარე ჩოლოქის შავი ზღვის სანაპიროსთან შემაერთებელ ადგილს, აჭარა გურიის მთების ქედზე, 50 ვერსის მანძილზე, ჭახათის მთიდან შავნაბადის მთამდე. „რუსეთის დაბლობზე" ანუ ჩოლოქის ხაზზე თურქეთისკენ სამი გზა მიდიოდა. ერთი გზა მიუყვებოდა ზღვის ნაპირს წმინდა ნიკოლოზის საგუშაგოსთან, მეორე გადიოდა ჩოლოქის საგუშაგოსა და სოფელ ლეღვაზე, ხოლო მესამე კი ქვემო ბოგოლსკის საგუშაგოსთან ოჩხამურის ტერიტორიაზე. ამათგან პირველი გზა ხელსაყრელი იყო ბორბლიანი ტრანსპორტისთვის, იგი მიუყვებოდა ზღვის ქვიშიან ნაპირს და ჩოლოქთან, კინტრიშის (ლიმონის) მინდორზე გადიოდა. ჯერ კიდევ 1658 წელს ეს ადგილი მოინახულა იერუსალიმის პატრიარქმა პაისმა, დიაკონ დოსითეოსთან ერთად. იგი ნაშრომში „მოგზაურობა გურიაში" აღნიშნავს, რომ ფაზისიდან ისინი გაემგზავრნენ ქობულეთში არსებულ გურიის ნავმისადგომში, საიდანაც აჰყვნენ მდინარეს ზემოთ ორი საათის სავალზე, რის შემდეგ 1659 წლის 22 მარტს მივიდნენ ტაძართან და გურიის მთავრის სახლთან. ქობულეთის ნავმისადომის დანიშნულებაზე მიანიშნებს ქრისტოფორე კასტელი, რომლის ალბომში ჩანახატს აქვს მინაწერი „ბავშვებით დატვირთული ხომალდი მიდის ჯოჯოხეთში." ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ გურიიდან ყოველწლიურად გაყავდათ გაყიდული ბავშვები. ამავე ადგილზე ნავმისადგომის და ციხე-სიმაგრის მშენებლობა დოკუმენტებით მე-18 საუკუნეში დასტურდება. 1723 წელს შეკვეთილის ციხეში ოსმალეთის გარნიზონი იდგა. XIX საუკუნის დასაწყისში წმინდა ნიკოლოზის ფორფოსტი მოიცავდა ტერიტორიას ნატანების შესართავთან, სადაც მდებარეობდა შეკვეთილის ნავმისადგომი. პროფესორი თამაზ ბერაძე ციხესიმაგრის დაარსების თარიღად ასახელებს 1737 წელს. XIX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოს რუკაზე აღნიშნულია წმინდა ნიკოლოზის ციხე-სიმაგრე. რუსეთის მეფე ნიკოლოზის საპატივცემულოდ მას მოიხსენიებდნენ ნიკოლაევსკის სახელითაც. თავდაპირველად იგი წარმოადგენდა ქვიშის ბორცვზე მდებარე საბაჟო საგუშაგოს, სადაც განთავსებული იყო საკარანტინო ზონა, პროვიანტის მაღაზია და ყაზარმა 30-მდე გუშაგისთვის.1788-1792 წლებში სიმონ მესამე გურიელის ნებით შეკვეთილში მებაჟეობის უფლებით სარგებლობდნენ თავადი ნაკაშიძეები. 1812 წელს ბუქარესტის ზავის მიხედვით შეკვეთილი რუსებმა დაიკავეს და აქ დამტკიცდა რუსეთ - თურქეთის საზღვარი. 1813 წელს საქართველოს მთავარ მმართველ ნიკოლოზ რტიშჩევის ნებით გურიელმა განავითარა წმინდა ნიკოლოზის სიმაგრის მშენებლობა. 1850 წელს საბაჟო მოინახულა ნიკოლოზ დუნკელ ველინგმა. ველინგის ცნობით 1810 წელს რუსებმა გურიაში, კერძოდ ნატანების შესართავთან, შეკვეთილში განალაგეს ბელევსკის ფეხოსანთა პოლკი და მოაწყვეს თავდაცვითი ნაგებობანი. აღნიშნულ პოლკს ეკუთვნოდა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია,. აქედან გურულებს გაჰქონდათ სიმინდი,ბზა, ურთხელი, მერქანი. გურულებმა ქობულეთზე კონტროლი დაკარგეს 1774 წლის ქუჩუქ-კაინარჯის ზავის შემდეგ. შეკვეთილთან არსებული წმინდა ნიკოლოზის ციხე-სიმაგრე ნახსენები აქვს კარლ მარქსს 1854 წელს გამოცემულ სტატიაში, რომელიც ეხება რუსეთ-ოსმალეთის საომარ მოქმედებებს სელიმ ფაშას და რუსეთის ჯარს შორის. 1829 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის დადებულ ადრიანოპოლის ტრაქტატში გარკვევით არის მითითებული, რომ წმინდა ნიკოლოზის ნავსადგური არის შავი ზღვის სამხრეთით არსებული სასაზღვრო პუნქტი. 1879 წლის 23 მაისს შავიზღვისპირეთის საბაჟოებს გაეცათ ბრძანება, რომ მკაცრი მეთვალყურეობა დაეწესებიათ თურქეთის დროშის ქვეშ მოცურავე თევზსაჭერ ფელუგებზე, განსაკუთრებით ფეოდოსიის და ყირიმის ნახევარკუნძულზე, სადაც უცხოური გემებისთვის აკრძალული იყო თევზჭერა და დელფინების რეწვა.

1865 წლის 25 აგვისტოს რუსეთის საზღვაო საქმეთა სამინისტრომ (პეტროგრადი,მინისტრი ნ.კრაბე) დაამტკიცა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებული მეთვალყურე გემების წესები. სანაპიროს მეთვალყურეობა დაწესებული ჰქონდათ აზოვის ბარკასებს, რომლებიც სანაპიროს გასწვრივ აწარმოებდნენ სწრაფ რეისებს. კომერციულ გემებს უნდა გაევლოთ საკარანტინო ზონა. დაწესდა კონტროლი კონსტანტინეპოლსა და სოხუმს შორის მოცურავე გემებზე. კონტროლი ძირითადად წარმოებდა საკარანტინო ზონაში, სადაც შესამოწმებლად მოჰყავდათ ღია ზღვაში დაკავებული გემები უცხო გემებიდან ჩამორთმეული საქონელი ერთი წლის განმავლობაში ინახებოდა საბაჟოს საწყობებში, ხოლო შემდე კი ხდებოდა მათი კონსფისკაცია. 1857 წლის 23 ივლისს აკრძალეს მუხის ხის გატანა 1866 წლის 5 აგვისტოს წმინდა ნიკოლოზის საბაჟო სამეგრელოს მმართველს აცნობებდა, რომ შეთქმული თავადები ტიტე ინაიშვილი და მარღანია აპირებდნენ სამურზაყანოსა და სამეგრელოდან თურქეთში გადასვლას 1869 წელს წმინდა ნიკოლოზის საბაჟოს საზღვრებში შემოვიდნენ შემდეგი გემები: „ქრისტინა", „წმინდა ეკატერინე", „წმინდა მიხეილი", „ფეოდოსია", „ვასილი", „წმინდა ნიკოლოზ წინასწარმეტყველი", „სოფია", „ვლადიმირი", „ალექსანდრე", „წმინდა იაკობი", საბაჟოს შედგენილი ჰქონდა გემების შემოსვლის ცხრილი, რომელშიც მითითებული იყო, თუ საიდან შემოვიდა გემი, რა საქონელი შემოიტანა და რომელი მიმართულებით წავიდა და ა.შ. სავაჭრო საქონელი ძირითადათ შემოდიოდა ფოთიდან, ოჩამჩირიდან, ქერჩიდან, როსტოვიდან, რედუტ-კალედან, ევპატორიიდან შემოჰქონდათ ევროპული ფუფუნების საგნები, პარფიუმერია, სარკე, საათები. 1857 წელს საბაჟოს ტერიტორიაზე შემოტანილ საგნებს შორის დასახელებულია თევზის სხვადასხვა სახეობა: სელდი, ოლოვა, ასევე თამბაქო, ბოსტნეული, ხილი, ფქვილი, ფასოლი, ხალვა, ცხვრის შალი, საღებავები, ლიმონი. რუსეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნილება იყო აზიურ შალზე, რითაც მარაგდებოდნენ მოსკოვის საწარმოები. აზიური შალისგან ევროპაში კერავდნენ საუკეთესო ტანსაცმელს. საბაჟოს მიერ დაწესებული გადასახადი სავალდებულო იყო ყველა რანგის ადამიანისთვის. განსაკუთრებით დიდი გადასახადი იყო დაწესებული სავაჭროდ აკრძალულ საქონელზე, ასე მაგალითად, 1882 წელს ფოთის საკარანტინო საბაჟო დაწესებულების მიმართვის საფუძველზე ნიკოლოზის საბაჟოდან მაღალი გადასახადი დაუწესეს ირანის პრინცს ბეხშენ-მირზას, კერძოდ მან შემოიტანა ქოლგები, რომლის სახელურებში განთავსებული იყო ძვირფასი თვლებით შემკული ხანჯალი საყოველთაო ვაჭ-რობაში ჩართული იყვნენ რუსეთის ქვეშევრდომი ქართველი ვაჭრებიც: *ალექსანდრე აბაშიძე, ვასიკო არობელიძე, ვასილ ართმელაძე, საყვალა ბეშიტაიშვილი, გაბრიელ ვასაძე, ოქროპირ ღლონტი, სიმონ ბოგვაძე, ალექსანდრე ვარშალომიძე.*

1879 წლის 1 იანვარს კავკასიის მეფისნაცვალმა სანიმუშო სამსახურისთვის დააჯილდოვა ორდენებით კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, კავკასიის საცეზურო კომიტ-ეტის წევრი თავადი ჯორჯაძე თბილისის გუბერნიის საქმის მწარმოებელი გლეხთა საკითხებში თავადი ჭავჭავაძე, ფოთის საკარანტინო საბაჟო კანტორის წევრი ანდრონიკაშვილი და ბევრი სხვა 1866 წლის 31 მაისს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბალუევმა დაამტკიცა საკარანტინო საბაჟოს ინსტრუქცია, რომელშიც მინიშნებულია საბაჟოს წევრთა საქმიანობა და მათი უფლება-მოვალეობანი. ინსტრუქციის ზოგად ნაწილში განსაზღვრულია საკარანტინო სახლის დირექტორის მოვალეობა, მიღებულ საქონელზე ჰიგიენური წესების დაცვის, მისი დათვალიერება გადანაწილების, დასაწყობების და სხვა საკითხები საკარანტინო პაკხაუზებში საქონელს 3 დღის განმავ-ლობაში ტოვებდნენ, ხოლო აზოვის პორტებში გასაგზავნს 6-8 თვეს. ცალკე პუნქტი იყო გამოყოფილი საგარანტინო პორტის კაპიტანზე. მის ძირითად მოვალეობას შეადგენდა საკარანტინო პორტში გემების მიღების საერთო წესების დაცვა. საკარანტინო წყლებში აკრძალური იყო გემების თავისუფალი მოძრაობა. პორტის კაპიტნის რეზიდენციაზე გამოფენილი იყო საკარანტინო ყვითელი ფერის დროშა. ასეთივე ფერის სიმბოლოები იყო სავაჭრო გემებზე. პორტის კაპიტანს საკარანტინო წყლებში შემოსული გემების შესამოწმებლად გააჩნდა კითხვარი. ინსტრუქცია გარკვეულ ვალდებულებას უწესებდა სასაზღვრო დაცვას. ისინი თვალყურს ადევნებდნენ და იცავდნენ სახმელეთო და საზღვაო საზღვარს.

1856 წლიდან დაარსებულ შავი ზღვის ნიკოლოზის საბაჟოს ძირითად მოვალეობას შეადგენდა საზღვრის მეთვალყურეობა და კონტროლის დაწესება შემოტანილ საქონელზე. წმინდა ნიკოლოზის საბაჟო-საგუშაგო ექვემდებარებოდა ფოთის საკარანტინო-საბაჟო კანტორას, რომელიც შედიოდა ქუთაისის საბაჟო ოკრუგში. ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში საბაჟოს საქმეს ხელმძღვანელობას უწევდა საბაჟო-საკარანტინო სამმართველო, რომლის რეზიდენცია თბილისში იყო. თავდაპირველად წმინდა ნიკოლოზის საბაჟო მდებარეობდა გურია-აჭარის საზღვარზე. 1878 წლის შემდეგ საბაჟო-საგუშაგო გადაიტანეს ჩურუქსუს მიდამოებში. ამავე დროს ბათუმში დაფუძნდა საბაჟო საკარანტინო ზედამხედველობა, რომელიც მეთვალყურეობას უწევდა ბათუმის პორტში არსებულ გემებს, შემდეგ წმინდა ნიკოლოზის საბაჟო გადადის მაკრიალთან, თურქეთის საზღვართან ახლოს. ნიკოლოაევსკის საგუშაგოს სასაზღვრო სოფლები იყო: ხოფა, არხავი, ვიწე. თურქეთიდან ქობულეთში შემოდიოდა იალქნიანი გემები 1910 წლის აპრილში ნიკოლოზის საბაჟოს მმართველმა გოგიტიძემ და ქობულეთის 25 შავიზღვისპირა სასაზღვრო რაზმის უფროსმა, შტაბის როტმისტრმა ტირტოვმა ხელი მოაწერეს საბაჟოს დადგენილ საზღვრებს, კერძოდ ეს იყო ჩურუქსუს სანაპირო ზოლი, სიგრძით 66 საჟენი, ნიკოლოზის საბაჟოს შენობიდან, სამხრეთით მდებარე სულეიმან ხინიკაძის სახლამდე, და სიგანით 39 საჟენი, არიფ მოწყობილის საცხოვრისამდე, სულ 2500 საჟენი. თურქულ სეინერებს ნებადართული ჰქონდათ თევზჭერა დადგენილ საზღვრებში, მაგრამ ხშირად ისინი არღვევდნენ წესებს და გადმოდიოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე სათევზაოდ და ხის მასალის შესაძენად საბაჟო შემოს-ული და გასული გემების შესახებ ინფორმაციას უგზავნიდა საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტს. ძირითადი საზღვაო ტრანსპორტი იყო რუსეთის და თურქეთის ბარკასები და ფელუგა. წმინდა ნიკოლოზის საბაჟო კონტრაბანდისტულ საქონელს კონფისკაციას უწევდა 1899 წლის 11 იანვარს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანების საფუძველზე რუსეთის იმპერიაში შემოსვლა აეკრძალათ გერმანიის 9 მოქალაქეს, ავსტრიის 21 მოქალაქეს, თურქეთის 27 მოქალაქეს, ირანი-13, რუმინეთის-7, ბელგიის-5, საბერძნეთის-2, შვეიცარიის, ბულგარეთის თითო მოქალაქეს და საფრანგეთში მცხოვრებ ემილ მატიეს.

1897 წლიდან წმინდა ნიკოლოზის საბაჟოს თარჯიმანი იყო ვასილ კლდიაშვილი, მებაჟეების მოვალეობას ასრულებდნენ პროკოფი ნიკოლაიშვილი და გიგო ჯაველიძე.

1885 წელს რუსი ემიგრანტები ავრცელებდნენ ბიბლიის ფორმაში გა-დაწერილ რევოლუციური შინაარსის წიგნებს. რუსები განსაკუთრებულ შიშს გამოთქვამდნენ საფრანგეთის მოქალაქე თეოფილე ლატიეს მიმართ, რომელიც სამხედრო განათლების მი-ღების შემდეგ მუშაობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსული ენის თარგმნად. გარკვეული დროის განმავლობაში ფრანგი ლატიე რუსეთში კონსულის თანამდებობას ითავსებდა და ჩაბმული იყო ანტისახელისუფლებო მოძრაობაში

1885 წელს ინგლისის გემებს ტრაპიზონიდან თურქული დროშით საქართველოში გადმოჰყავდათ ჩერქეზები. მათი გარკვეული ნაწილი სახლდებოდა აფხაზეთში. ამას წინ აღუდგა ილია ჭავჭავაძე და მოითხოვა აფხაზეთში ქართველი მთიელების ჩასახლება.

1889 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მიერ ნიკოლოზის საბაჟოს საგუშაგოსადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ ოზურგეთის მცხოვრებლები, სიმინდით დატვირთული გემებით გადადიოდნენ თურქეთში.

საქართველოში შემოსული უცხო გემები კონტრაბანდისტულ საქონელს აგდებდენ ბათუმის ბულვარის სანაპიროსთან ახლოს, რომელსაც შემდეგ გამოუჩნდებოდა პატრონი. ნიკოლოზის საბაჟოს განსაკუთრებული კონტროლი ჰქონდა დაწესებული საქართველოში შემოტანილ უცხოურ ლიტერატურაზე. XIX საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის საზღვრებში ვრცელდებოდა ფალსიფიცირებული ფული. 1874 წლის 13 იანვარს კავკასიის მეფისნაცვალი საბაჟოებს ავალებდა მხარდაჭერას რუსული საზღვაო-სავაჭრო საზოგადოების გემების მიმართ, რომლებიც შავი ზღვის პორტებში კონტრაბანდისტული საქონლის გამოვლენის მიზნით აწარმოებდნენ სწრაფ რეიდებს. განსაკუთრებული მეთვალყურეობა იყო დაწესებული 1552 ტონა მოცულობის ნორვეგიულ გემზე **„RHOS"**, რომლის კაპიტანი იყო იახონსენი. ეს გემი 1893 წელს აშენდა გერმანიის ქალაქ შტეტინგში, მიულერის და გოლბერ-გრაბოვის ქარხანაში. ამ გემს გააჩნდა კონტრაბანდისტული საქონლის ფარულად გადატანისთვის აუცილებელი, კონსპირაციულად მოწყობილი კაუტები. 1878 წელს ჩოლოქის საზღვართან ვაჭრობის წესებს არეგულირებდა გენერალ-მაიორ გრიგოლ გურიელის პირველი რაზმი, ზღვის მხრიდან კაპიტანი ლუგულოვი და მთის მხრიდან გურიის მე-4 რაზმის უფროსი კაპიტანი გუგუნავა

განსაკუთრებული აკრძალვები იყო დაწესებული კონსტანტინეპოლიდან გადმოსული რელიგიის მსახურთა მიმართ. მათი ვიზირება ხდებოდა რუსეთის სინოდის ნებართვით.

1878 წლის 19 დეკემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და 1886 წლის 19 მაისის აზიური დეპარტამენტის გადაწყვეტილებით საბაჟოს განსაკუთრებული კონტროლი ჰქონდა დაწესებული იარაღის, ქაღალდის და შალის შემოტანაზე. 1906 წლის 15 აპრილს საბაჟოს ზღვისპირა დაწესებულებებს ეცნობათ, რომ ანტვერპენიდან გამოსული იარაღით დატვირთული გემი „ხერსონი"(კაპიტანი შულცი) დროდადრო ცვლიდა გემის სახელწოდებას და შავიზღვისპირეთში აწარმოებდა იარაღით ვაჭრობას

ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ფიქსირდება იარაღით მოვაჭრე ყაზი-ყუმუხის ოლქის სოფელ გურტახის მცხოვრებ სულთან-გაქი მუჰამედის მიმართ, რომელსაც ბრალდებოდა მთის მოსახლეობაში კონსტანტინეპოლიდან შემოტანილი იარაღით ვაჭრობა.

უცხოეთიდან შემოსულ გემებზე სხვადასხვა დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული იყო კონტროლი. 1882 წლის 1 აგვისტოს

▶▶▶ გვ-9

კიდევ ერთი წიგნი - შენაძენი ონომასტიკაში





ჩვენ მიერ შემოთავაზებულია 3 სიახლე, რაც, უნდა ითქვას აღმოჩენის ტოლფასია ქართველურ ონომასტიკაში:

1) პირველადაა ცალკე წიგნად გამოცემული პროფ. ალ. ღლონტის საქართველოს 20 რეგიონის გვართა ლექსიკონები, რადაც დღემდე ვერ აღიქმებოდა, რადგან ჩართული იყო მის ტოპონიმთა ლექსიკონებში (XX ს-ის 70-90-იან წლები).

2) 20-ვე „გვართა ლექსიკონი" პირველია აღნიშნული რეგიონების-თვის, ზოგ შემთხვევაში - ერთადერთიც.

3) აქედან 10 რეგიონის სალექსიკონო მასალა პირველი გვართა ლექსიკონებია ქართულ ონომასტიკურ სინამდვილეში ქრონოლოგიურად წინ უსწრებს დღემდე პირველ ნაშრომად მიჩნეულ ილია მაისურაძის „გვარსახელთა ლექსიკონს".

4) სოფლებისა და უბნების მიხედვით მოპოვებულ გვარებს სპეციფიკური ონომასტიკური დატვირთვა აქვთ, რაც ალ. ღლონტის „გვართა ლექსიკონების" ამ ასპექტითაც გამორჩეულობას განაპირობებს.

იოანე-ზოსიმე წერს: „დამარხულ არს ენა ქართული... და ესე ენა მძინარე არს დღესამომდე".

ალ. ღლონტის ამ ნაშრომზეც ითქმის: გვართა ლექსიკონები „მიძინებულ იყო" მის ტოპონიმთა ლექსიკონებში, რაც აღქმულ იქნა ჩვენ მიერ და, შესაბამისად, გამოვყავი 278-გვერდიან წიგნად.

ამით ალ. ღლონტის გარდაცვალებიდან 25 წლის თავზე მის 5 ათეულზე მეტ წიგნს შევმატე მისივე უნიკალური „გვართა ლექსიკონები", რაც კიდევ ერთ **მორიგ პირველ ადგილს დაუმკვიდრებს ონომასტიკური დარგის ფუძემდებელს.**

მთავარია, შენაძენია ქართველურ ონომასტიკისათვის.

ISBN 978-9941-33-013-3

ჩვენ მიერ შემოთავაზებულია სამი სიახლე, რაც, უნდა ითქვას – **აღმოჩენის ტოლფასია:**

1) პირველადაა ცალკე წიგნად გამოცემული პროფ. ალ. ღლონტის საქართველოს **20 რეგიონის გვართა ლექსიკონები,** რადაც დღემდე ვერ აღიქმებოდა, რადგან ჩართული იყო მის ტოპონიმთა ლექსიკონებში (XX ს-ის 70-90-იან წლები).

2) 20-ვე „გვართა ლექსიკონი" პირველია აღნიშნული რეგიონებისთვის, ზოგ შემთხვევაში – ერთადერთიც.

3) აქედან **ათი რეგიონის სალექსიკონო მასალა პირველი გვართა ლექსიკონებია** ქართულ ონომასტიკურ სინამდვილეში – ქრონოლოგიურად წინ უსწრებს დღემდე პირველ ნაშრომად მიჩნეულ ილია მაისურაძის „გვარსახელთა ლექსიკონს".

4) სოფლებისა და უბნების მიხედვით მოპოვებულ გვარებს სპეციფიკური ონომასტიკური დატვირთვა აქვთ, რაც **ალ. ღლონტის „გვართა ლექსიკონების" ამ ასპექტითაც გამორჩეულობას განაპირობებს.**

იოანე-ზოსიმე წერს: „დამარხულ არს ენა ქართული... და ესე ენა მძინარე არს დღესამომდე".

ალ. ღლონტის ამ ნაშრომზეც ითქმის: გვართა ლექსიკონები „მიძინებულ იყო" მის ტოპონიმთა ლექსიკონებში, რაც აღქმულ იქნა ჩვენ მიერ და, შესაბამისად, გამოვყავი 278-გვერდიან წიგნად.

ამით ალ. ღლონტის გარდაცვალებიდან 25 წლის თავზე მის 5 ათეულზე მეტ წიგნს შევმატე მისივე უნიკალური „გვართა ლექსიკონები", რაც კიდევ ერთ **მორიგ პირველ ადგილს დაუმკვიდრებს ონომასტიკური დარგის ფუძემდებელს.**

მთავარია, შენაძენია ქართველურ ონომასტიკისათვის.

ქეთევან გოდერძიშვილი,
ენათმეცნიერი-ონომასტიკოსი

შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო (1856-1910)

შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო. იიომ დელილის რუქა. ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი.

რუსეთის ელჩი კონსტანტინეპოლში საბაჟოებს ატყობინებდა, რომ ინდოეთის ქალაქ ბომბეიდან გამოსულ გემზე **„HESNERAY"** ფიქსირდება ქოლერიის ავამდმყოფობით სიკვდილის შემთხვევა. გემზე გამოცხადდა კარანტინი. ამ პერიოდში ქოლერა დაფიქსირდა მექაშიც. არსებული შემთხვევებიდან გამომდინარე სბაჟო აწარმოებდა გემების დათვალიერებას და ავადმყოფათა გადარჩენის მიზნით მათ გადაყვანას ბათუმის საავადმყოფოში.

1906 წელს შავი ჭირის აცილების მიზნით დაწესდა კონტროლი იაპონიის ქალაქებიდან და მათ შორის ქალაქ კობედან შემოტანილ საქონელზე წმინდა ნიკოლოზის საბაჟო ადგენდა სტატისტიკურ მონაცემებს საკაბოტაჟე გემების მიერ სხვადასხვა პორტებში შემოტანილ საქონელზე

ამრიგად, წმინდა ნიკოლოზის საბაჟოს დაწესებული ჰქონდა საზღვრები, რომელიც იცავდა რუსეთის იმპერიის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიას.

1910 წლის 8 ივლისს რუსეთის ფინანსთა მინისტრის საფუძველზე შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო გაუქმდა და გამოცხადდა ჩურუქსუს საბაჟო გადასასვლელ პუნქტად.

1918 წლიდან შეკვეთილში დასახლდნენ რუსი ძველმართლმადიდებლები. 1920 წელს შეკვეთილის ციხე დაანგრიეს.

მერაბ მეგრელიშვილი
ნინო ჯაველიძე

„ბრინჯულა და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა გურიაში

„ბრინჯულა გურული ტრადიციული კერძია. სახელწოდებიდან გამომდინარე, იგი ბრინჯისაგან მზადდებოდა. ეს კერძი დღესაც პოპულარულია გურიაში,თუმცა დღეს მას, არა ბრინჯის, არამედ ხორბლის ფქვილისგან ამზადებენ. ბრინჯულა მეტად ნოყიერი კერძია, მის დასა-მზადებლად ცოტა ინგრედიენტი და მცირე დროა საჭირო, აქედან გამომდინარე, იგი ადვილი მოსამზადებელი იყო ოჯახში მოულოდნელად მოსული სტუმრის გასამასპინძლებლად, რის გამოც, მას სახელდახელოდ, „ელანძე- გამოსაცხობ ხაჭაპურსაც" უწოდებდნენ გურულები.

ძველ დროში ბრინჯულას შუა ცეცხლზე ამზადებდნენ ქვის კეცის გამოყენებით.შუა ცეცხლისათვის უპირატესობა ენიჭებოდა რცხილის შეშას, რადგანაც მან ძლიერი ცეცხლი იცოდა და კარგად ტოვებდა ნაკვერჩხალსაც, რომელიც კეცზე ცხობისთვის მნიშვნელოვანი იყო. აალებულ ცეცხლზე კეცს პირჩაღმა მოთავსებდნენ,კარგად გაცხელებულზე დაასხამდნენ უსაფუარო თხელ ცომს, რომელიც მზადდებოდა ბრინჯის ფქვილის, წყლის ან რძის-აგან, ცოტა ცხიმით და თავზე მო-აყრიდნენ კვერცხშეზავებულ ყვე-ლის გულსართს. კეცს შედგამდნენ გაღვივებულ ნაკვერჩხალზე, თავზე დააფარებდნენ მეორე კეცს, რომელსაც ცხელი ნაკვერჩხალით დაფარავდნენ. ზედა და ქვედა წვით კერძი მალევე მზადდებოდა.

„ბრინჯულას დამზადება უკავშირდება გურიაში ტრადიციულ სამეურნეო საქმიანობას, კერძოდ, მებრინჯეობას და ქვის დამუშავების ხელოსნობას.

ბრინჯის წარმომავლობის ისტორია უკავშირდება ჩინეთს, საიდანაც იგი გავრცელდა აზიაში და ირან-აზერბაიჯანის გზით შემოვიდა აღმოსავლეთ საქართველოში, კე-რძოდ, კახეთში.აქ იგი „ჩელთუქის (თურქული სიტყვა) სახელით მო-იხსენიებოდა,ხოლო, ბრინჯის დასა-თესს ნაკვეთს „საჩელთუქეს უწ-ოდებდნენ. შუა საუკუნეების კახე-თში ბრინჯი რომ დიდი რაოდე-ნობით ითესებოდა, გვამცნობს ვახ-უშტი ბატონიშვილის წყარო, რასაც , იმავე პერიოდის უცხოელი მოგზაური გიულშტენდიც ადასტურებს.(**ძველი და ახალი სამეურნეო კულტურები გურიაში, ჯ. ჯალაბაძე კრებული „გურია გვ. 33.)**

არსებობდა თეთრი- სველი და მშრალი – მოყვითალო ბრინჯის სა-ხეობა, რომლებიც სხვადასხვა სახის ნიადაგის და კლიმატურ პირობებში ხარობდა. მშრალი ბრინჯისთვის ხელსაყრელი იყო მშრალი კლიმატი და ნიადაგი. აქედან გამომდინარე, ამ სახის ბრინჯის გავრცელების არეალი უმეტესწილად აღმოსავლეთ საქართველო იყო.

დასავლეთ საართველოში ბრინჯის კულტურა საბერძნეთიდან შემოსულად მიიჩნევა რომის ან ბიზანტიის ჰეგემონობის დროს. სამეგრელოში ბრინჯს ეძახიან „ორიზას", რაც ბერძნული წარმოშო-ბისაა.(**კრებული „ეთნოგრაფიული გურია - გ ჯალაბაძე-„ ძველი და ახალი სამეურნეო კულტურა გურიაში).**

იტალიელი მისიონერი არანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს ,რომ „სამეგრელოში ბევრი ბრინჯი მოჰყავთ, არა თუ აქაურებს ჰყოფნით, არამედ ოსმალეთის გემებსაც მიაქვთ." (**არქ. ლამბერტი. „სამეგრელოს აღწერა" გვ.74)**

გურიაში ორივე სახის ბრინჯი მოჰყავდათ, თუმცა ჭარბობდა სველი–თეთრი ბრინჯი, რადგანაც უფრო შეესაბამებოდა ნესტიან და შლამიან ნიადაგს, რაც გურიის ჭაობიანი ადგილებისთვის იყო დამახასიათებელი. სველი ბრინჯი ითესებოდა პალიასტომის ტბის, შავი ზღვის და მდინარე სუფსის სანაპიროების მახლობლად, სადაც მიწა ვერასოდეს ვერ ასწრებდა გამოშრობას. ასეთი ადგილები იყო სუფსა, ნატანები, წვერმაღალა, ტაბანათი, ჩოლოქი, მოლიანი და სხვ.

სველმა ბრინჯმა დიდი მოსავალი იცოდა, ხარშვის დროს ბრინჯის მარცვლები დიდდებოდა.

ბრინჯი ითესებოდა აპრილ-მაისში, სექტემბერში იღებდნენ მოსავალს, აშრობდნენ, გოდრებში მარცვალს დააყრევინებდნენ, ჩენჩოებისაგან გაასუფთავებდნენ, ჩაყრიდნენ მშრალ, ხის თავსახურიან ჭურჭელში და ბეღელში შეინახავდნენ. გამოყენების დროს ბრინჯის მარცვალს ჩამურში გაცეხვავდნენ. ბრინჯისგან ამზადებდნენ ფაფას,წვნიან კერძებს, ღომს და ყველის გულიანებს, იგივე „ბრინჯულას .(**ჯ. რუხაძე „ცოცხალი ისტორიები წიგ.1. გვ.231.)**





როგორც ვხედავთ, მებრინჯეობა თითქმის მთელ საქართველოში წარმოადგენდა მნიშვნელოვან სამეურნეო საქმიანობას,აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ბრინჯის ფქვილისაგან დამზადებულ ყველიან გულიანებს სხვა კუთხეებშიც აკეთებდნენ, მაგრამ, იგი მხოლოდ გურიაში იქნა შენარჩუნებული.

საინტერესოა ბრინჯის გასაცეხვი ქვის ჩამურის დამზადების წესი. ქვის საბადოების სიუხვით გურია არ გამოირჩევოდა, მხოლოდ გურიის რამდენიმე სოფელში იყო შესაძლებელი საჩამურე და საკეცე ქვების მოპოვების საშუალება. ეს სოფლები იყო; ვანზომლეთი, ძირგანახლება, საჭამიასერი, ბუქსიეთი, გორისფერდი. საბადოებიდან ქვის მოჭრა საკმაოდ ძნელი საქმე იყო.ქვის მჭრელებს,იარაღის სახელწოდებიდან გამომდინარე, მეწაკატეებს ეძახდნენ. მათ კარგად უნდა სცოდნოდნენ ქვის მოსატეხი ხაზების მიმართულება, იმის შესაბამისად, თუ რა ზომის და რა დანიშნულების მასალა იყო საჭირო, ქვაზე წაკატით ავლებდნენ ღარს,მასში თანმიმდებრობით აწყობდნენ რკინის სოლებს და მძლავრად სცემდნენ ურო. ქვას ჭრიდნენ აფეთქებითაც ასაფეთქებელი წამლის ლაღუმის გამოყენებით, რომელსაც გაბურღულ ქვაში ჩაყრიდნენ და ცეცხლს გაუკიდებდნენ. აფეთქებულ ქვას ურმით ჩაიტანდნენ დანიშნულების ადგილზე, აკოპიტებდნენ, ანუ გამოჩორკნიდნენ და ყიდნენ ქვის ოსტატებზე, რომლებიც სხვადასხვა ზომისა და ფორმის რკინის წაკატების გამოყენებით ჩამურს ამზადებდნენ, ასეთივე რკინის იარაღებით მზადდებოდა ქვის კეცებიც, მის დამამზადებლ ოსტატებს „მეკეცე კაცებს ეძახდნენ. (**ხელოსნობის ზოგიერთი დარგები გურიაში ჯ .ჯალაბაძე-„ეთნგ.კრებული გურია)**

ბრინჯის წარმოება გურიაში მე 20 ს. 20-30 იანი წლებში შემცირდა და თანდათან დავიწყებას მიეცა ეს საქმე, რაც განპირობებული იყო ჩაის პლანტაციების მასიურ განაშენიანებასთან. ახლად შექმნილი ჩაის მეურნეობები უფრო მეტი ნაკვეთის ათვისებას საჭიროებდა. იმდროინდელი სახელმწიფოს მესვეურები ჩაის კულტურის განვითარებაში ხედავდნენ ქვეყნის ეკონომიურად დაწინაურების პერსპეტივას.

(„ძველი და ახალი სამეურნეო კულტურები გურიაში)

ლალი რამიშვილი
ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი.

უშენოდ ცხოვრების ორმოცი დღეც გავიდა. . .

ლამარა სიხარულიძის ხსოვნას

მთელი შენი შეგნებული ცხოვრება იცი, რომ დადგება დრო, როცა დედა დაგტოვებს და თითქოს ამ აზრს შეგუებული ხარ, მაგრამ ამავე დროს იმ აზრსაც ვერ უშვებ, რომ ეს დრო უკვე დადგა. . .

დგება, ის დღე, რომლის წარმოდგენაც არ გვინდოდა და გვეშინოდა . . .

„დედას ასაკი არ აქვს“ თითქოს ეს ძალიან მარტივად ნათქვამი სიტყვებია, მაგრამ დიდი ჭეშმარიტებაა...

ყველაზე თბილი, ყველაზე ტკბილი, ყველაზე ნათელი სამყარო ქრება შენს ცხოვრებიდან, სამყარო, რომელიც ყველაზე მეტად გეიმედება, სადაც უსიტყვოდ გიგებენ და გითანაგრძნობენ, დარდს გი-ქარვებენ. . .

დედა, შენი მონატრება ტკივილიანი და ცრემლიანია, როცა იცი რომ ველარასდროს ველარ ჩაგეხუტები და ვიგრძნობ შენს სურნელს...

მთელი ცხოვრება პატიოსნად, ღირსეულად განვლე, წლების მანძილზე ეწეოდი პედაგოგიურ მოღვაწეობას და დიდი ხნის მანძილზე მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებს სწავლასთან ერთად მზრუნველობას და სიყვარულს არ აკლებდი.

მეტიც, მთელი ცხოვრება გასცემდი უშურველად სითბოს, წყენას არ იმჩნევდი და ცუდისთვის სამაგიეროს არავის მიაგებდი. მხოლოდ სიყვარული, მოთმინება...

ამიტომაა, რომ უამრავი ადამიანისათვის ლამარა სიხარულიძე არის და იყო სითბო, სიტკბო, სიმშვიდე და ყურადღება... ყველა ასე გიხსენებს შეთქმულივით ერთნაირად...

მადლობა იმ ყველაფრის-თვის, რასაც ჩვენთვის, შენი ოჯახისთვის აკეთებდი, მადლობა იმისთვის, რაც ჩაგვინერგე შენს შვილებს და შვილიშვილებს შენი თვისებები - სხვის მიმართ ყურადღება, სიკეთის გაცემა, მოკრძალება, სტუმარმასპინძლობა, თავმდაბლობა და კიდევ ბევრი ადამიანური ღირსებები. . .

დედა, არ მიდის დედა ჩვენში რჩება - ასე თქვა ერთმა მეგობარმა და მართლაც: ჩვენ ვიცქირებით დედის თვა-ლებით, ჩვენ ვფიქრობთ დედ-ასავით, ჩვენ ვცდილობთ ვიმოქმედოთ, ისე როგორც დედა ...

დედა არ მიდის, დედა მუდამ ჩვენთანაა. . .

ლალი კილაძე

გიორგი მიქაუტაძე „ოქროს ბუცის“ მფლობელი გახდა

გიორგი მიქაუტაძე 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის თანაბომბარდირი და „ოქროს ბუცის“ მფლობელი გახდა, ქართული ფეხბურთის ისტორიაში კი ერთ-ერთი ყველაზე საამაყო ფურცელი ჩაწერა.

როგორც ცნობილია, UEFA-მ რეგლამენტში შეიტანა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ევროპის ჩემპიონატზე „ოქროს ბუცს“ თანაბარი გოლების მქონე ყველა საუკეთესო ბომბარდირი მიიღებს.

კერძოდ, ყველაზე მეტი, სამსამი გოლი გატანილი აქვთ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელს **გიორგი მიქაუტაძეს,** გერმანიის ნაკრების ფეხბურთელს **ჯამალ მუსიალას,** ინგლისელთა ფორვარდს **ჰარი კეინს,** ჰოლანდიელ ფეხბურთელს **კოდი გაპკოს,** ესპანეთის შემტევ ნახევარმცველს **დანი ოლმოს** და სლოვაკეთის ნაკრების თავდამსხმელ **ივან შრანცს.**

ქართველის (და სხვა „სამგოლიანების“) გადასწრების შანსი ფინალში ინგლისის ნაკრების კაპიტანს ჰარი კეინსა და ესპანელთა შემტევს დანი ოლმოს ჰქონდათ, თუმც თამაში ისე დასრულდა, მათ გოლი ვერ გაიტანეს.

აქამდე მოქმედი წესებით, როდესაც მოთამაშეებს თანაბარი გოლების რაოდენობა უგროვდებოდათ, „ოქროს ბუცის“ მფლობელს სხვა კრიტერიუმებით არჩევდნენ. მაგალითად, 23 წლის ქართველმა ორი გოლი პენალტით გაიტანა, ამ შემთხვევაში უპირატესობა იმ მოთამაშეს მიენიჭებოდა, რომელსაც მეტი გოლი ჰქონდა გატანილი უშუალოდ სათამაშო ეპიზოდიდან.

ცერემონიალს გიორგი მიქაუტაძე ვერ დაესწრო. მიზეზზე საქართველოს ეროვნული ნაკრების ვიცე-კაპიტანმა ნიკა კვეკვესკირმა მიანიშნა და აღნიშნა, რომ მალე გიორგი ახალ კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს.

ჟურნალისტი ფაბრიციო რომანო თავის **X**-ზე (ყოფილი „ტვიტერი“) წერს, რომ თავდამსხმელ ჟორჟ მიქაუტაძის „მონაკოში“ გადასვლის ყველა დეტალი შეთანხმებულია. მისი ინფორმაციით, „მონაკო“ და „მეცი“ 25 მილიონ ევროზე მორიგდნენ. როდესაც ეს ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურდება, მიქაუტაძის ტრანსფერი იქნება ყველაზე ძვირად ღირებული მათ შორის, რაც კი ქართველი ფეხბურთელების მონაწილეობით განხორციელებულა.

ჯერჯერობით რეკორდსმენი კახა კალაძეა, რომელშიც 2001 წლის იანვარში მილანის „მილანმა“ კიევის „დინამოს“ 16 მილიონი ევრო გადაუხადა.

სპორტული სკანვორდი





პასუხები:

ჰოლანდელ: ვერგილ ფან დეიკი; ინგლისელ-ალბერტ; ლიანდრო — ალბერტ; ევრო 2002 ჭიდაკაცი — ალბერტ; ალბერტ — ალბერტ; ალბერტ — ალბერტ; ალბერტ

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა



კიდევ ერთი დეტალი: მესამე დასმენაში აგენტი ითხოვდა თანხას, რომელიც, მისივე სიტყვებით, აგენტურული ცნობების მოპოვებისათვის სჭირდებოდა (ტრანსპორტის ხარჯები). თუ აგენტისათვის ფულის მიცემა გადაწყდებოდა, ნდობით აღჭურვილი ჟანდარმი 3 ივნისს, საღამოს, 5-დან 6 საათამდე უნდა მისულიყო ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, №10-ში. ეტყობა, ჟანდარმერიამ აგენტი აღარ დააფინანსა, რადგან მის მიერ მიწოდებული ცნობები ხელს უშლიდა ნიკონის მკვლელობაში ქართველი ავტოკეფალისტებისათვის ბრალის დადებას. ყოველ შემთხვევაში, ძიების მასალებში ანონიმი აგენტის შემდეგი დასმენები აღარ გვხვდება.

სოციალ-დემოკრატები, რომელთაც პოლიტიკური მკვლელობისა და კვალის დაფარვის დიდი გამოცდილება ჰქონდათ, ახლაც დინჯად და დაბეჯითებით მიდიოდნენ დასახული მიზნისაკენ. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ნაპერწკალი“ ნიკონის მკვლელობის შემდეგ დღეებში (1908 წლის 30 მაისს, 5 ივნისს, 7 ივნისს) მხოლოდ ისეთ მასალას აქვეყნებდა, რომელიც ხან აშკარად, ხან კი ფარულად მიანიშნებდა ეგზარქოსის მკვლელობაში ქართველი ავტოკეფალისტების მონაწილეობაზე. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა უკვე 31 მაისს გამორიცხეს ნიკონის მკვლელობაში არა მარტო სოციალ-დემოკრატიული პარტიის, არამედ საერთოდ ყველა პოლიტიკური პარტიისა და მიმდინარეობის მონაწილეობა და ეგზარქოსის მკვლელობა „უგუნურთა კერძო შურისძიებად“ გამოაცხადეს. და ეს მაშინ, როცა მთელი შავრაზმელური რუსეთი, ოფიციოზები „Кавказ“ და „Голос Кавказа“ ნიკონის მკვლელობას სწორედ ავტოკეფალისტთა შურისძიებად თვლიდნენ.

ზემოთ მოყვანილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ, თბილისის ოხრანკამ და თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა, პეტერბურგიდან მიღებული მითითების თანახმად, შექმნეს ვერსია, თითქოს საქართველოს ეგზარქოსი ნიკონი მოკლეს ქართველმა ავტოკეფალისტებმა. მიზანი ასეთი ვერსიისა ნათელი იყო: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლთა დარბევა, ამ მოძრაობის მოსპობა;

2. *ჟანდარმერიის ანონიმი აგენტი ჯერ კიდევ 1908 წლის 16 აპრილს აცნობებდა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს, რომ ეგზარქოსის მოკვლას აპირებდა „დიაკონთა და მეფსალმუნეთა კომიტეტი“, რომელიც თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ხელმძღვანელობით მოქმედებდა. სოციალ-დემოკრატებმა, ცხადია, კარგად იცოდნენ, რომ ნიკონის მოკვლას ავტოკეფალისტთა დევნა მოჰყვებოდა, რაც უშუალოდ შედიოდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა გეგმებში. ქართ-ველ ავტოკეფალისტთა მიძრაობა სულიერ საზრდოს აძლევდა, მორალურად ამხნევებდა ეროვნულ ძალებს. ამას კი ქართველი სოციალ-დემოკრატები ვერ დაუშვებდნენ. ცნობილია, რა დიდი რიხითა და შემართებით ებრძოდნენ ისინი საქართველოს ავტონომიის იდეასაც კი რუსეთის პირველი რევოლუციის წლებსა და შემდგომ ხანებში;*

3. ავტოკეფალისტები ეგზარქოს ნიკონს არ მოკლავდნენ, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ ეს არ იყო გზა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისა. არამარტო პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ეს მკვლელობა მათთვის მიუღებელი (მკვლელობას ხომ ახალი რეპრესიები მოჰყვებოდა), არამედ, უპირველეს ყოვლისა, მორალური თვა-ლსაზრისით. ეპისკოპოსი კირიონი და მისი თანამოაზრეები საქართველოს ეკ-ლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლ-აში ურყევად იცავდნენ უფლის მცნებას: „არა კაც ჰკლა; ხოლო რომელმან მოკლას, თანამდებ არს სასჯელისა“ (მათე, 5. 21). ის, ვინც ასე ხელაღებით სდებდა ბრალს ქართველ ავტოკეფალისტებს ნიკონის მკვლელობაში, პირველ რიგში, თავის მორალურ გადაგვარებას უსვამდა ხაზს.

ამრიგად, ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ერთადერთი შესაძლო ორგანიზატორები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები.

დაბოლოს, მაინც ვისი ძალისხმევითაა შექმნილი ის დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირებულია ალექსანდრეს ბაღში ანტონ თოთიბაძისა და მიშა შადინოვის შორის გამართული საუბარი? ეს ხომ ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც ნიკონის მკვლელობაში ქართველ ავტოკეფალისტთა მხილებისათვის გამოდგებოდა? მას, შესაძლოა, ორი ავტორი ჰყავდეს: ქართველი სოციალ-დემოკრატები და ჟანდარმერია. არც ერთს და არც მეორეს ხელს არ აძლევდა ავტოკეფალისტთა მოძრაობის აღმავლობა, რომელიც უთუოდ გამოიწვევდა ეროვნული მოძრაობის გაძლიერებას.

ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა არ ყოფილა ქართველი ერისათვის ტრაგედია. შემზარავი მთელ ამ ისტორიაში ისაა, თუ რა მზაკვრული გზა აირჩიეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ავტოკეფალისტთა მოძრაობის დარბევა-განადგურებისათვის.

დასაწყისი „ალიონი“ №5-9

რევოლუციის დამარცხება

1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. დამარცხების რეალურ თარიღად 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების მარცხი უნდა მივიჩნიოთ, თუმცა დამარცხების სიმბოლურ თარიღად არა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების მარცხია მიჩნეული, არამედ – 1907 წლის 3 ივნისი. ამ დღეს ნიკოლაი II-მ რუსეთის იმპერიის მეორე სახელმწიფო სათათბირო დაითხოვა და სათათბიროს საარჩევნო კანონი შეცვალა. იმპერატორის ეს გადაწყვეტილება იძულებით ნაბიჯს წარმოადგენდა, კონკრეტულად კი, შემდეგი მიზეზით იყო განპირობებული: **სახელმწიფო სათათბირო ვერ იქცა მემარჯვენე, მემარცხენე და ცენტრისტული ძალების კონსტრუქციული დიალოგის საკანონმდებლო ორგანოდ,რაც აუცილებელი იყო ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისიდან გამოყვანისათვის.** განსაკუთრებულად დესტრუქციული, ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ნიმუშს იძლეოდნენ **მემარცხენე სოციალისტური** ძალები, პირველ რიგში – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორივე ფრაქციის (მენშევიკურისა და ბოლშევიკურის) დეპუტატები. არც **კონსერვატორულ-მონარქისტული** ძალები გამოირჩეოდნენ ორიგინალური პროგრამით, რომელიც ხელს შეუწყობდა ქვეყნის დამშვიდებას და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას. კონსერვატორულ-მონარქისტული ძალების ნაწილი შავრაზმელური იდეებით, ძველი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის თითქმის უცვლელად შენარჩუნების მოთხოვნით ნოყიერ ნიადაგს უმზადებდნენ სოციალისტურ ძალებს ხელისუფლების საწინააღმდეგო მოღვაწეობისათვის, ხელს უწყობდნენ ამ ანტისახელმწიფოებრივი მოვლენის პოპულარიზაციას ხალხის ფართო მასებში. **ცენტრისტები** იმდენად სუსტნი და არაორგანიზებულნი აღმოჩნდნენ, რომ წინ ვერ აღუდგნენ მემარცხენე და მემარჯვენე ძალებს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **პიოტრ სტოლიპინმა** ნიკოლაი II დაარწმუნა, რომ მეორე სახელმწიფო სათათბირო ქვეყნის სასიკეთოს ვერაფერს მოიმოქმედებდა. 1907 წლის 3 ივნისი, როგორც აღვნიშნეთ, რევოლუციის დამარცხების სიმბოლური თარიღია. რევოლუცია, ფაქტობრივად, 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხებით დასრულდა. ცალკეული რევოლუციური გამოსვლა 3 ივნისის შემდეგაც, წლის ბოლომდე, გრძელ-დებოდა, თუმცა იგი ნელ-ნელა დაღმავლობის გზით მიდიოდა.

რეპრესიები რევოლუციური მოძრაობის ლიკვიდაციის მიზნით

1906 წლის იანვრიდან გენერალ-მაიორ **მაქსულ ალიხანოვ-ავარსკის** დამსჯელმა ექსპედიციამ ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, ქალაქ ფოთში, ქალაქ ბათუმსა და კინტრიშის უბანში, რაჭა–ლეჩხუმში) რევოლუციური მოძრაობის კერების განადგურება დაიწყო. არაადამიანური სიმკაცრის პირობებშიც კი შეუძლებელი გახდა რევოლუციური გამოსვლების ერთბაშად ჩახშობა, რომელიც დამსჯელი ექსპედიციის რაზმების თარეშის პარალელურად მაინც გრძელდებოდა, თუმცა ნელ-ნელა სუსტდებოდა და დაღმავლობის გზით მიდიოდა. იგივე მდგომარეობა იყო თბილისის გუბერნიაში (ქართლ-კახეთში, სამცხე-საათაბაგოში). მუშათა გაფიცვები და საპროტესტო გამოსვლები არ ცხრებოდა თბილისში. აგრარული მოძრაობა გრძელდებოდა გორის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის, თიანეთის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. ცალკეული მღელვარება აღინიშნა ჯარშიც. მიუხედავად ამისა, სავსებით ცხადი იყო, რომ 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ რევოლუციური ძალები წელში ვეღარ გაიმართნენ და ახალი რევოლუციური აღმავლობაც ვეღარ მოხდებოდა. რევოლუციის ძირითადი ცენტრები განადგურებული იყო, დამსჯელი ექსპედიცია ცეცხლითა და მახვილით ახშობდა სოციალური პროტესტის ყოველგვარ გამოვლინებას.

1906 წლის თებერვლის ბოლოს კავკასიის მეფისნაცვალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა შეაჯამა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების შედეგები და უქვეშევრდომილესი მოხსენება წარუდგინა იმპერატორ ნიკოლაი II-ს. მეფისნაცვალმა საჭიროდ ცნო ყურადღება გაემახვილებინა შემდეგ საკითხებზე:

1. 1906 წლის იანვარ-თებერვალში დამსჯელი ექსპედიციის რაზმების აქტიური მოქმედებების შედეგად დაძაბულობამ აშკარად იკლო. რევოლუციური გამოსვლები შემცირდა;

2. საზოგადოებრივი ცხოვრების დამშვიდების დაკვალად მაინც მოხდა რამდენიმე ტერორისტული აქტი, თუმცა მასშტაბური რევოლუციური ექსცესები აღარ განმეორებულა;

3. თბილისში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებამ, რეპრესიებმა, რაც ცალკეული რევოლუციონერისა და შეურიგებელი ჯგუფების წევრთა დაპატიმრებასა და რევოლუციური გამოსვლების მონაწილეთა სამსახურიდან დათხოვნაში გამოიხატა,დამორგუნველი გავლენა მოახდინა რევოლუციონერთა განწყობილებაზე;

4. 1905 წლის დეკემბრის ბოლო დღეებსა და 1906 წლის იანვრის დამდეგს მხოლოდ თბილისში 280 პირი დააკავეს. ხელმძღვანელების გარეშე დარჩენილმა ორგანიზაციებმა იანვარში გამოსვლების ორგანიზება ვეღარ შეძლეს და ინტენსიური რევოლუციური მუშაობა შეწყვიტეს;

5. 1906 წლის 16 იანვარს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსის, გენერალ-მაიორ ფიოდორ გრიაზნოვის მკვლელობა მოაწყო რომელიღაც რევოლუციურმა პარტიამ, ხოლო მუშათა საბრძოლო რაზმში ამერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშები შედიოდნენ. გენერალი გრიაზნოვი თბილისის საზოგადოებასა და, კონკრეტულად, რევოლუციონერთა შორის ცნობილი იყო, როგორც „სამხედრო მდგომარეობის სული და გული". არანაირ დაცვას არ შეეძლო გენერალზე თავდასხმის აღკვეთა;

6. 1906 წლის იანვარში განხორციელებული დაპატიმრებებიდან აღსანიშნავია 1 იანვარს ციციანოვის აღმართზე(დღევანდელი 6. ბარათაშვილის აღმართი – ვ. გ.) ტერორისტული ორგანიზაციის 2 წევრის დაპატიმრება, რომლებიც გრენადერთა დივიზიის მეთაურის, გენერალ რილსკის გავლას ელოდებოდნენ. დაპატიმრებულები გადაიყვანეს და დაკითხეს თბილისის ქვეითთა პოლკის შტაბში. ტერორისტების ციხეში გადაყვანის დროს, გზაში, უცნობმა პირებმა სროლა ატეხეს, რის გამოც პატიმრების გამცილებელმა რაზმმა ორივე ტერორისტი ადგილზე დახოცა;

7. რეპრესიების გაძლიერებამ და დაპატიმრებებმა თბილისში რევოლუციური პარტიები აიძულა იატაკქვეშეთში გადასულიყვნენ და მკაცრი კონსპირაცია დაეცვათ. ამასთან ერთად, რევოლუციონერთა ნაწილმა თბილისი დატოვა და სოფლებში გააგრძელა მოღვაწეობა. სოფლებში რევოლუციური გამოსვლები ამ დროისათვის უკვე შესუსტებული იყო;

8. საქართველოში აგრარულ მოძრაობაში აქტიურად იყო ჩამბული თბილისის გუბერნიის გორისა და დუშეთის მაზრის გლეხობა;

*9. ქალაქ თბილისისა და თბილისის გუბერნიისათვის რევოლუციონერთა კადრები ქუთაისის გუბერნიაში მზადდებოდა. გორისა და დუშეთის მაზრებში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ გენერალ-გუბერნატორ, გენერალ-მაიორ **ალექსანდრ ბაუერის**(1852–?) მიერ გატარებული რეპრესიული ღონისძიებების შედეგად ამ მაზრებში რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელები გამოვლენილი და დაპატიმრებული იქნენ. სახალხო მილიცია განაიარაღეს და გაფანტეს. გორის მაზრის სოფელ მიხაილოვოში (დღევანდელ ხაშურში – ვ. გ.) 1906 წლის 14 იანვარს ასაფეთქებელი ნივთიერების დამამზადებელი სახელოსნო აღმოაჩინეს;*

10. 1906 წლის იანვარში თანამდებობიდან დაითხოვეს ქუთაისის გუბერნატორი **ვლადიმირ სტაროსელსკი** და ვიცე-გუბერნატორი **ალექსანდრე ყიფშიძე,** რომელთაც თავიანთი მოკლევადიანი მმართველობის პერიოდში რევოლუციური აგიტაციის მიმართ შემწყნარებლური პოზიცია დაიკავეს;

11. ქუთაისის გუბერნიაში დროებითი გენერალ-გუბერნატორის, გენერალ-მაიორ მაქსულ **ალიხანოვ-ავარსკის** ჩასვლის შემდეგ მოსახლეობის წინააღმდეგობამ მნიშვნელოვნად იკლო;

12. 1906 წლის 26 იანვარს ტერორისტებმა მძიმედ დაჭრეს ზუგდიდის მაზრის უფროსი კელამოვი, თუმცა ამ ტერორისტულ აქტს მოსახლეობის მყუდროება არ დაურღვევია;

13. ჯარს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა **გურიაში** *შეხვდა, სადაც 1906 წლის იანვრის პირველ რიცხვებში მოსახლეობის დასაწყნარებლად პოლკოვნიკ კრილოვის რაზმი გაიგზავნა;*

14. ქალაქ ბათუმში საალყო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ ბევრი რევოლუციონერი დააპატიმრეს. რევოლუციონერთა ნაწილმა გაქცევა მოახერხა, ნაწილი ჯართან შეტაკებისას დახოცეს. ამის შემდეგ ბათუმში რევოლუციონერებს თავი არაფრით გამოუჩენიათ გარდა იმისა, რომ 1906 წლის 7 იანვარს მოკლეს ბათუმის ოლქის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ივანოვი;

15. 1906 წლის 6 იანვარს ბათუმში დააპატიმრეს ნაფიცი მსაჯულის თანაშემწე ებრაელი **სამუილ დინინი,** რომელიც ცნობილი აგიტატორი იყო და ბათუმში გამართულ მიტინგებზე ხშირად გამოდიოდა. ბათუმში საალყო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ სამუილ დინინი ოდესაში გაიქცა, 6 იანვარს ბათუმში დაბრუნდა და იმავე დღეს დაიპატიმრეს. ციხეში გადაყვანისას მან გაქცევა სცადა, მაგ რამ კაზაკთა გამცილებელმა რაზმმა ადგილზე მოკლა.

მეფისნაცვლის მოხსენებიდან აშკარად ჩანს, რომ რევოლუციური მოძრაობა უკვე შესუსტებული იყო, თუმცა რევოლუციის საბოლოოდ დასამარცხებლად ხელისუფლებას ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევა დაჭირდებოდა.

ვახტანგ გურული

საქართველოს ახალი ისტორია, (1801-1918). წიგნი 3. გვ. 570-573

ლევილში მეორე ქართული ფესტივალი დაიხურა

ოზურგეთის თეატრმა სპექტაკლი „ცის კარი“ სპეციალურად ნოდარ დუმბაძის დაბადების დღის აღსანიშნავად წარმოადგინა

საფრანგეთში, ლევილში, მეორე ქართული ფესტივალი მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული ღონისძიებებით დაიხურა, დასკვნით ღონისძიებაზე ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა სპექტაკლი „ცის კარი“ სპეციალურად ნოდარ დუმბაძის დაბადების დღის აღსანიშნავად წარმოადგინა

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიულ მამულში, სიმბოლურად ქართველი ჰუმანისტი მწერლის ნოდარ დუმბაძის დაბადების დღესთან დაკავშირებით, რომელიც 96 წლის გახდებოდა, „ცის კარი“ იქნა წარმოდგენილი, სპექტაკლმა დამსწრე საზოგადოების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. ლევილის ფესტივალის დასკვნით ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, ლევილის მერი ერიკ ბრევი, ქართველი ემიგრანტები, ფრანგი და სხვა ევროპელი სტუმრები ესწრებოდნენ.

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **ვასილ ჩიგოგიძემ** დამსწრე საზოგადოებას სცენიდან მიმართა, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ასევე საქართველოს მთავრობას აღნიშნული შესაძლებლობისთვის მადლობა გადაუხადა, ხოლო ლევილის მერს, ბატონ ერიკ ბრევს ოზურგეთის თეატრის სახელით სუვენირი და ნოდარ დუმბაძის ფესტივალის ხურჯინი გადასცა, ასევე საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით, რომელიც ნოდარ დუმბაძის ფესტივალის დამფუძნებელი გახლავთ, ლევილის მერი ნოდარ დუმბაძის მეხუთე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე 2025 წლისთვის მოიწვია.

თემები, რომლებიც აქტუალობას არ კარგავენ – ანუ რა მანძილია შემგროვებლობასა და ხარჯვას შორის და რამდენად თვითმყოფადია იგი სცენასა და სცენის მიღმა, რეალურ ყოფაში

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენა, ამჯერად უკვე რუსთაველის ეროვნული თეა-ტრის შემოქმედებითმა ჯგუფმა აახმოვანა. სტუმრებმა გიორგი ერისთავის ერთმოქმედებიანი კომედია „ძუნწი“ ხუთ ივლისს წარმოადგინეს.

სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი – გოჩა კაპანაძე გახლავთ; მხატვარი – ლომგულ მურუსიძე; კოსტიუმების მხატვარი – ანა ნინუა; კომპოზიტორი – ნათია ზეინკლიშვი-ლი; ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე; რეჟისორის თანაშემწე – მარინა ამაღლობელი.

მონაწილე მსახიობები: ლელა ალიბეგაშვილი, ნინო არსენიშვილი, კახა კუპატაძე, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, ქეთი სვანიძე, დავით უფლ-ისაშვილი, ლევან ხურცია. მოქმედება არც თუ ისე ახლო, და არც თუ ისე შორეული წარსულიდან, არც მთლად ორსაუკუნოვანი.

ჯერ სასცენო რეკვიზიტებით ნაამბობზე ვისაუბროთ. ის ღარიბ გარემოს ასურათებს. ერთმანეთისგან განსხვავდება სცენის მოპირდაპირე მხარეს მდგომი, შლიაპიანი, ლაბადამოსხმული მისტერ დაბალი და მისტერ მაღალი? – არა, უბრალოდ სწრაფვაა სიმაღლისკენ მანძილი მათ შორის, თავად სცენითაა განსაზღვრული. სიმბოლური დატვირთვით კი დროდადრო მოპაექრე მჩხავანა ყვავის „შემოძახილები“, რომელსაც, ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი კარაპეტა, როგორც იტყოდნენ და ახლაც იტყვიან ხოლმე, კაკალსაც აგდებინებს ზოგჯერ პირიდან, სწორედ ამ ჩხავილიანი შემოძახილების დროს. არ შეიძლება არ დაინახო ბატკნები სცენაზე. რომლებიც კარაპეტასთვის, ძველ სკივრში, ეგრეთ წოდებულ ზანდუკში გამომწყვდეული მოჩხრიალე ოქროს ფულებია მხოლოდ. ესაა მისთვის სიმდიდრეც და ბედნიერებაც. სამყაროს გასაღებიც და სამყაროს დასასრულიც. ერთადერთი შვილი

ხანფერ (ხათუნა) კი, მისი ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. არ უნდა შვილი უფულო თავადს გაატანოს. ნაგროვები ფულები სხვას ჩაუგდოს ხელში. *„ქართველებმა ფულის ყადრი არ იცან, ფული უყვართ, მაგრამ ერთ მინუტსაც არ გაიჩერებენ ჯიბეში, სულ ტაშ-ფანდურში ხარჯავენ, ჩვენა კიდევ, სულ ვინახავთ და ვინახავთ“.*

სპექტაკლის მესვეურთა მიერ, აქ კარგადაა წარმოდგენილი როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის უთავბოლობა, მომხვეჭელობასა და უგეგმოდ ხარჯვას შორის. შედეგი? – უპრინციპობა, მლიქნელობა, უნიათობა და კიდევ – აქეთ სკივრში გამოკეტილი ოქროს ფულები და მაინც სიღარიბე, იქეთ თავადის სახლი, მაგრამ მოსალოდნელი შიში შიშშილისა.

ამ დროს აღდგომაა, ისმის სცენიდან, აღდგომის სახელით – მოწყ-ალების გაღების დღეა, მიუსაფართა ნუგეშის დღეა . იქნებ ცოტათი მაინც გათბეს გაყინული სული. სიყვარული იმარჯვებსო. გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ კარგად მაინც არ ჩანს წყვილის ბედნიერი ღიმილიანი სახეები, კულისებს მიღმიერად ჩარჩენილი. კარაპეტა კი დგას თავის ზანდუკთან სევდიანი მონოლოგით. მას ვერ გაურკვევია, რითი დააღწიოს თავი პოტენციურ მოზიარეებს.

მსახიობთა ოსტატობა, კომედიური ჟანრი, თემატური დატვირთვა და ხმამაღლა ნათქამი, იუმორით გადმოცემული სათქმელი. ის, რაც არც მოგვწონს და გვაფიქრებს.

დრო მუშაობს და კი არ აქრობს პრობლემებს, სახესა და ფორმას უცვლის ხშირად.

სათქმელი ითქვა, მაყურებლამდეც მოვი-და, მაგრამ, როგორც რიგითმა მაყურებელმა, აქვე, როგორ არ უნდა გამოხატო მადლიერება იმ კომფორტული, ნათელი და თბილი გარემ-ოსთვის, რასაც ოზურგეთის თეატრი, თავისი უნიკალური მოცემულობით, ოზურგეთის თეატრის ყველა მეს-ვეური კი სწორედ მასპინძლობის გა-დმოსახედიდან ქმნის და ახალი მისტუმრების სურვილითა და მოლოდინით აცილებს სტუმრებს.

ნინო ნიკოლაშვილი

„შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში"

„ჩვენი ამოცანაა ოზურგეთი ასოცირდებოდეს დაზგურ გრაფიკასთან“

ნენ: - ია არსენიშვილი,

ახლა არის მესამე ეტაპი, 8 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით. მონაწილეობენ: ნინა დარჩია, ირინკა ხარატიშვილი, დოდო - თამარ თაყაიშვილი;

ვახტანგ მეგრელიშვილი (თბილ-ისი), ნინა დარჩია (ოზურგეთი).

მე, როგორც პროექტის ხელმძღვანელი, ყველა ეტაპზე ვმონაწილეობ.

სექტემბერში ჩამობრძანდებიან ლიეტუვიდან და უკრაინიდან პროფესიონალი გრაფიკოსები და ჩვენ მათი დახმარებით ახალ ტექნოლოგიას დავამუშავებთ.

11 ან 12 სექტემბერს იქნება შემაჯამებელი გამოფენა. ყველა ეტაპის მონაწილეები ერთად შევიკრიბებით. გამოიცემა პატარა ბუკლეტი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება აქ შექმნილი ნახატები და მათი ავტორი მხატვრები. ჩვენი მიზანია ოზურგეთში, გურიაში განვავითაროთ დაზგური გრაფიკა. „პრინტ არტ“ – ასე უწოდებენ მას. საქართველოში ეს დარგი კარგად განვითარებული იყო, მაგრამ ბოლო პერიოდში დაიკარგა. დაზგები რაზეც სამუშაო სრულდება ყველას უკვე აღარ აქვს, ძველებურად პოპულარული აღარაა ეს მიმართულება. ყველა ფერწერაზე გადაერთო. საქართველოში ერთ-ერთი, შეიძლება ერთადერთიც ვართ, სადაც ვითარდება ეს დარგი. ჩვენი ამოცანაა,

ოზურგეთი ასოცირდებოდეს დაზგურ გრაფიკას-თან. არტ წრეებში ყველგან იცან, რომ ოზურგეთში არის ეს სახელოსნო და ადამიანები მოდიან ჩვენთან სამუშაოდ. ეს არის ჩვენი პრიორიტეტი, სტრატეგია. არის ძალიან საინტერესო შემოქმედებითი პროცესი. მხატვრები ერთმანეთს ხვდებიან, საუბრობენ, იცვლება ინფორმაციები, ხდება ტექნოლოგიური საკითხების შესწავლა და გაზიარება. მხატვრისთვის ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის ჩვენი მიზანი, ამოცანა. ამ სტრატეგიას ავითარებს ჩვენი შემოქმედებითი სახელოსნო. ეს იქნება ჩვენი პერსპექტივა მომავალშიც. ვცდილობთ სახელოსნო იყოს გამართული.

დოდო - თამარ თაყაიშვილი

(პროექტის მონაწილე, ფერმწერი): – ბედნიერი ვარ, რომ მოვხვდი ჩემი წარმოშობის ადგილას, ოზურგეთში, სოფელ ლიხაურთან, თან ასეთ არაჩვეულებრივ საზოგადოებაში. აღფრთოვანებული ვარ ადამიანებით, ბუნებით, ქალაქით, აქ მუშაობის მეთოდებით და სტილით. ისეთი საინტერესო ყოფილა გრაფიკაში მუშაობა. მე პირველად შევეხე *ამ სფეროს, ფერმწერი ვარ. ეს არის სასწაული. ჩვითრევს, რაღაცა მაგიური აქვს. დიდი მადლობა ავთო თავართქილაძეს, საოცარ პროფესორს, ვახო მეგრელიშვილს, რომელსაც უშრეტი ენერგია დ შემართება აქვს. ყველას ეხმარება, ყველას რაღაცას უკეთებს, თვითონაც მუშაობს, ჩვენი სული და გულია.*

სერგო გოგოლაძე (პროექტის მონაწილე): – *ვარ ბათუმელი. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორი, გრაფიკოსი. მოხარული ვარ, რომ ამ პროექტში ვღებულობ მონაწილეობას. არის ძალიან კარგი გარემო, კარგი საზოგადოება. ამ პროექტში პირველად ვარ, მაგრამ, ერთი თვის წინ გურიაში მქონდა პერსონალური გამოფენა.*

ვახტანგ მეგრელიშვილი, *პროექტის ავტორი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი: – ოზურგეთის გალერეაში დაგროვდა გამოცდილებები და ეს გამოცდილებები საკმაოდ ბევრია. მერვე წელია ვატარებთ ვორკშოპს. სხვა და სხვა ქვეყნებიდან ჩამოდიან ძალიან საინტერესო მხატვრები. თამამად ვიტყვი, რომ ყოველ წელს იდება განსაკუთრებული შედეგები. ვმუშაობთ სხვა და სხვა მიმართულებით. უცხოეთიდან ჩამოსულ მხატვრებს ჩამოაქვთ ჩვენთვისაც გარკვეულ წილად ინოვაციური ტექნიკა და ტექნოლოგიები. ჩვენც რაღაც სიახლეებს ვახვედრებთ მათ. ხდება გაცვლა გამოცდილებების. ასე ვთქვათ ჩვენ ძალიან კარგ საქმეს ვაკეთებთ. გარკვეული სახის პოპულარიზებას ვუკეთებთ საქართველოში გრაფიკას. იმიტომ, რომ ეს არის დარგი, რომელიც ყოველთვის პოპულარული და ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ ასე არ ხდება სხვა და სხვა მიზეზების გამო. მინდა მადლობა გადავუხადო გალერიას, მის ხელმძღვანელობას და ოზურგეთის მერიის შესაბამის სამსახურებს, ვინც კურირებას უწევენ ამ ყველაფერს. რა თქმა უნდა ასეთი სახის პროექტებს სჭირდება პატრონი, დაფინანსება და ეს ყველაფერი მოწესრიგებულია. უკვე მერამდენე წელია. ყოველ წელს სიხარულით მოვდივარ აქ. ძალიან კარგი გეგმები გვაქვს. უცხოელებთან აწყობილი გვაქვს საქმე. მხედველობაში მაქვს ის, რომ ადამიანები, ძალიან ბევრნი, არიან დაინტერესებულნი იმით, რომ ჩამოვიდნენ და გაგვიზიარონ თავიანთი გამოცდილება და ჩვენც მზად ვართ ჩვენი გამოცდილება გავუზ-იაროთ მათ*

მარი კოპოევი

მზე, ღრუბელი +20+28
18 ივლისი
ხუთშაბათი

წვიმა, +20+27
19 ივლისი
პარასკევი

ელ-ჭექი +18+29
20 ივლისი
შაბათი

მზე, ღრუბელი +18+28
21 ივლისი
კვირა

მზე, ღრუბელი +18+26
22 ივლისი
ორშაბათი

წვიმა +17+23
23 ივლისი
სამშაბათი

წვიმა +17+23
24 ივლისი
ოთხშაბათი